

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თბილისის სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში #12

მონიტორინგის პერიოდი: თებერვალი 2017 - თებერვალი 2018

თბილისი, 2018

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე ჰასუსისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლოების მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი:	მერაბ ქართველიშვილი
რედაქტორი:	ხათუნა ყვირალაშვილი
ტექ. რედაქტორი:	ირაკლი სვანიძე
გამოცემაზე პასუხისმგებელი:	სულხან სალაძე
	ეკატერინე ციმაკურიძე

ანგარიშის მომზადებისა და მონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საიას მონიტორებმა:

თამარ ბოჭორიშვილი
სოფიო კვინიკაძე
ხატია ხარატიშვილი
ბექა თაკვალანძე
გიორგი ეუაშვილი
გვანცა კახიძე
შალვა ჯავახიშვილი
გიორგი ნადირაძე
ანზორ ხიმშიაშვილი

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჭ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01



აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

საჩივრი

მოკლე მიმოხილვა	6
მეთოდოლოგია	8
ძირითადი მიგნებები	10
I. პირველი წარდგენის სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები	16
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	16
2. სხდომების ანალიზი	17
2.1. აღკვეთის ღონისძიებები ქალაქების/რაიონების მიხედვით	19
2.2. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა	21
2.3. პროკურატურის მიდგომები აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე	23
2.4. სასამართლოს მიდგომები აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე	25
2.5. დაცვის მხარის პოზიცია აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე	25
II. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება	26
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	26
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	27
III. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება	33
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	33
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	35
IV. აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესახებ სასამართლო სხდომები	43
1. სხდომების ანალიზი	43
V. აღკვეთის ღონისძიებები ნარკოტიკულ დანაშაულებზე	47
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	47
2. სხდომების მოკლე მიმოხილვა	48
VI. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება	54

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	54
2. სხდომების ანალიზი	55
3. ტენდენციები ოჯახურ დანაშაულებზე ქალაქების მიხედვით	61
VII. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები	
სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან	63
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	63
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	63
VIII. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება	66
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	66
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	67
IX. სამართალწარმოება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით	69
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	69
1.1. მონიტორინგის შედეგები	70
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	71
2.1. კანონით გათვალისწინებული უფლებების განმარტება, პროცესის ხანგრძლივობა	71
2.2. სასამართლოს მიდგომები სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემონახვასთან დაკავშირებით	74
3. საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელები	76
3.1. საპროცესო შეთანხმების შედეგად შეფარდებული სასჯელები ოჯახური დანაშაულისთვის	80
3.2. სასჯელები ნარკოტიკული დანაშაულებისთვის	81
3.3. სატრანსპორტო დანაშაული	83
4. დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით	86
5. ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის პროცესში	88

X. წინასასამართლო სხდომებზე მტკიცებულებათა დასაშვებობა	91
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	91
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	91
XI. გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი	95
1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	95
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	96
XII. საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები	98
1. სასამართლო სხდომების გაჭიანურების პრობლემა	98
1.1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	98
1.2. პროცესის გადადება	99
1.2.1. სხდომების დაგვიანებით დაწყება	102
2. მხარეთა შეჭიბრებითობასა და თანასწორობაში ჩარევა	104
2.1. შესავალი	104
2.2. სასამართლო სხდომების ანალიზი	104
3. ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება	105
4. განაჩენები	107
5. არსებით სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე	108
5.1. მონიტორინგის შედეგები დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევასთან დაკავშირებით	108
5.2. სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე	109
რეკომენდაციები	113

მოკლე მიმოხილვა

ანგარიშის მიზანია, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებზე დასწრებითა და გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, მათ შორის, დადებითი ტენდენციების იდენტიფიცირება, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის ავკარგიანობას წარმოაჩენს. ანგარიში ასახავს სისხლის სამართალწარმოების საკითხებს 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის მარტამდე პერიოდში, ასევე, ძირითად ტენდენციებს 2011 წლის ოქტომბრიდან დღემდე.

პრობლემა, რომელსაც წლებია ავლენს მონიტორინგი, არის მოსამართლის ფორმალური ან არასაკმარისი როლი ადამიანის უფლებების დაცვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას. მათ შორის:

- » მოსამართლის როლი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე რეაგირებისას შემოიფარგლება მხოლოდ ბრალდებულისთვის კითხვის დასმის უფლებამოსილებით. დაკავებული/პატიმრობაში მყოფი პირი არის სახელმწიფო კონტროლქვეშ, ხოლო სავარაუდო დანაშაულის/გადაცდომის ჩამდენი შეიძლება იყოს სახელმწიფო უწყების თანამშრომელი და მაღალია ალბათობა, რომ გამოძიება არ ჩატარდება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გაიზარდოს მოსამართლის როლი არასათანადო ფაქტებზე ეფექტური რეაგირების კუთხით.
- » დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ მოსამართლეები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას. აღნიშნული, გარკვეულწილად, განპირობებულია საკანონმდებლო ნაკლოვანებითაც. აუცილებელია დაკავების განხილვის მექანიზმის და პროცედურის სათანადოდ მონესრიგება კანონმდებლობით, რათა განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე შეამოწმოს დაკავების კანონიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაკავებული პირი არამართლზომიერად დარჩეს პატიმრობაში ან მის მიმართ გამოყენებული იყოს ზედმეტად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.
- » თითქმის ყოველთვის პროკურატურა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ატარებს ჩხრევას და ამოღებას, რომელსაც სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში კანონიერად ცნობს. კანონმდებლობით მკაცრად განერილი საგამონაკლისო წესი პრაქტიკაში ხშირი გამოყენების ნორმა გახდა. სასამართლოს საფუძვლიანი შემოწმების გარეშე დამტკიცებული ჩხრევა ან ამოღება არის ბრალდებულის უფლებაში არამართლზომიერი ჩარევა, რამაც შესაძლოა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს

უფლება შელახოს და დაცვის მხარე საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ბრალდების მხარესთან არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

- » სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსამართლე ნაკლები გულმოდგინებით ეკიდება პატიმრობის პერიოდული გადასინჯვის საკითხს და თითქმის ყველა შემთხვევაში უცვლელად ტოვებს პატიმრობას, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე არ ასაბუთებს პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობას.
- » ცალკეული დადებითი მაგალითების მიუხედავად, კვლავ ფორმალურია საპროცესო შეთანხმებისას სასამართლოს მიერ სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმება. აუცილებელია, სასამართლოებმა მეტი გულმოდგინება გამოიჩინონ ამ საკითხთან დაკავშირებით და დააფიქსირონ, ეთანხმებიან თუ არა დანაშაულის კვალიფიკაციას და სასჯელს. მონიტორინგმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ გამოყენებული სასჯელი იყო ზედმეტად მკაცრი ან ზედმეტად რბილი.

როგორც წინა, ისე ამ საანგარიშო პერიოდში ძალიან მაღალია ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების - პატიმრობისა და გირაოს გამოყენების მაჩვენებელი, ხოლო ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები ფაქტობრივად არ გამოიყენება. რიგ შემთხვევაში აღნიშნული გამომწვეულია აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების დაუსაბუთებლობით, როცა პროკურატურა დაუსაბუთებლად ითხოვს გირაოს ან პატიმრობის გამოყენებას, ხოლო სასამართლო აკმაყოფილებს ამგვარ მოთხოვნას. თუმცა, არის შემთხვევები, როცა კანონმდებლობის ნაკლოვანების გამო სასამართლოს უწევს, გამოიყენოს მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, რაც განპირობებულია ალტერნატიული ღონისძიებების არასაკმარისი რაოდენობით და მათ გამოყენებაზე არსებული საკანონმდებლო შეზღუდვებით. შედეგად, ბრალდებულის მიმართ ხდება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობს.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე განხორციელებული თემატური მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციების ნაწილი შესრულდა. კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს ძალადობის მსხვერპლი ქალების უფლებების დაცვის უფრო მეტ გარანტიას. ამასთან, 2018 წელს შსს-ში შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალური მექანიზმი - ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის სახით.

ამ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა გაუმჯობესება და ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურა უფრო მეტად ითხოვდა შესაბამისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას. თუმცა, პროკურატურისთვის წლიდან წლამდე

პრობლემურ საკითხად რჩება გენდერული/სქესის ნიშნით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევაში დისკრიმინაციულ ნიშანზე მითითება. შედეგად, ეს ინვესს სასამართლოს მხრიდან მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების/სასჯელის გამოყენებას, რამაც შესაძლოა ვერ უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიებით/სასჯელით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემების მნიშვნელობა და აქტუალურობა ცხადყოფს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არაერთი პრობლემის არსებობასა და რეფორმის საჭიროებას. საია იმედს გამოთქვამს, რომ წინამდებარე ანგარიშში მოცემული მიგნებები და რეკომენდაციები გამოყენებული იქნება სასამართლო პრაქტიკის, პროკურატურის და დაცვის მხარის მიდგომებისა და კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად.

გეოგრაფია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს. მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განხორციელდა. 2012 წლის 1-ლი დეკემბრიდან საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩაერთო. 2014 წლის მარტის თვეში კი, მონიტორინგი ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც დაიწყო. ხოლო, 2016 წლის სექტემბრიდან მონიტორინგის პროექტს თელავისა და გორის სასამართლოებიც დაემატა. ხუთივე ქალაქში მონიტორინგის იდენტური მეთოდებია გამოყენებული.

საიამ დღემდე მონიტორინგის 11 ანგარიში მოამზადა, რომელიც მოიცავს 2011 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის მარტამდე დაფიქსირებულ ტენდენციებს. ამჯერად წარმოგიდგინთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის #12 ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით. წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა. მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსისა და იურისტების მიერ. კითხვარები მოიცავდა როგორც

„დახურულ“ კითხვებს, რომლებზეც პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გამომავალი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება.

ანგარიშში არ არის განხილული და დამუშავებული სასამართლოებში მიმდინარე ყველა პროცესი თუ სხდომა, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს შეიცავს როგორც სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. აგრეთვე, სასამართლო მონიტორინგის მიღმაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუკეთებია ანალიზი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებსა და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა - საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი:

- » ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები;
- » ოჯახში დანაშაულის საქმეების ნაწილი, სადაც საია აკვირდებოდა სხდომებს, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე;
- » აგრეთვე, საია აკვირდებოდა საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით.

2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით საიამ 2144 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორისაა:

- 415 - პირველი წარდგენის სხდომა

- 303 - საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 444 - წინასასამართლო სხდომა
- 982 - არსებითი განხილვის სხდომა

ქირითაღი მიგნაგაგი

აღკვეთის ღონისძიებები:

- საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობისა და გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. 397 აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, სადაც სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების სახე, 386 (97%) შემთხვევაში გამოიყენა გირაო ან პატიმრობა. შესაბამისად, კიდევ უფრო შემცირდა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი;¹
- იმ სხდომებზე, რომლებსაც ესწრებოდა საიას მონიტორი გორისა და თელავის რაიონულ სასამართლოში, არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა გამოყენებული ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება. ბათუმის და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში მხოლოდ თითო შემთხვევაში იყო გამოყენებული ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება. მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა პირადი თავდებობა აღკვეთის ღონისძიების სახედ;
- კვლავ პრობლემაა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობისა და გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენება. პროცენტული მაჩვენებელი წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდა. კერძოდ, 141 შეფარდებული პატიმრობიდან 17 (12%²) იყო დაუსაბუთებელი და არ იყო გამოყენებული, როგორც უკიდურესი საშუალება, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად.³ 245 გამოყენებული გირაოს შემთხვევაში კი 73 (30%⁴) იყო დაუსაბუთებელი;
- დაუსაბუთებელი გირაოს გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება ქუთაისში - 33%. სხვა ქალაქებში: გორი - 30%, თელავი, თბილისი, ბათუმი - 28%. დაუსაბუთებელი პატიმრობის გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არის

1 წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობა, გირაო გამოყენებული იყო 96% შემთხვევაში, 2016 წლის საანგარიშო პერიოდში კი - 94% შემთხვევაში.

2 წინა საანგარიშო პერიოდში დაუსაბუთებელი პატიმრობების მაჩვენებელი 14%-ით განისაზღვრა.

3 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

4 წინა საანგარიშო პერიოდში დაუსაბუთებლად გირაოს გამოყენების მაჩვენებელი 31% იყო.

ქუთაისში - 17%. სხვა ქალაქებში: თბილისი - 14%, ბათუმი - 10%, თელავი, გორი - 8%;

- საანგარიშო პერიოდში პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი 2 ერთეულით გაიზარდა, წინა საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 43%-ს, ახლა კი 45%-ით განისაზღვრა. სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობები პატიმრობის ნაწილში 75% შემთხვევაში დააკმაყოფილა. ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა სასამართლოს მხრიდან პატიმრობის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ზრდის ტენდენცია. წინა საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობის თაობაზე 72% შემთხვევაში, ხოლო 2016 წლის საანგარიშო პერიოდში - 60% შემთხვევაში;
- სასამართლოსა და პროკურატურის მიდგომებიდან გამომდინარე, რჩება შთაბეჭდილება, რომ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე კვლავ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ძირითად საფუძველს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან;
- აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე ყველა საკითხის კვალიფიციურად და ყოველმხრივ სრულყოფილად გამოკვლევა ფაქტობრივად შეუძლებელია, როდესაც პროცესი მაქსიმუმ 15 წუთი გრძელდება. 415 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან 81 (20%) გაგრძელდა 5 წუთიდან 15 წუთამდე. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 103 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან 53 (50%) გრძელდებოდა არაუმეტეს 15 წუთისა;
- ხშირად პროკურორს არ აქვს ინფორმაცია ან სათანადო დასაბუთება მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებულთა 88%-ის მიმართ გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ყურადღება არ გაუმახვილებია მათ მატერიალურ შესაძლებლობებზე და არც სათანადო დასაბუთება ჰქონია;
- გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენებულ იქნა 64 შემთხვევაში, აქედან 25 მათგანი (39%) დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული იყო. ასეთ შემთხვევებს შეიძლება ეწოდოს ე.წ. შეფარული პატიმრობის მაგალითები;
- სსსკ-ის 199(1) მუხლით გათვალისწინებული ძირითადი აღკვეთის ღონისძიების სახეები არასაკმარისია. საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე შემლუდული იყო, გამოეყენებინა გირაოზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთი. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებები,

სასამართლო აწყდება პრობლემას, ვინაიდან ვალდებულია, მიმართოს მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახეს - გირაოს ან პატიმრობას მაშინაც კი, როდესაც ასეთი მკაცრი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს. ამ შემთხვევაში პრობლემატურია სსსკ-ის 199(1) მუხლი, რადგან შეუძლებელია, ბრალდებულს შეეფარდოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, თუკი მას წარმოდგენილი არ ჰყავს პირადი თავდები ან/და დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის ვადა აღემატება ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ოჯახურ დანაშაულებზე:

- საიას მონიტორები სასამართლოებში დაეხსრნენ აღკვეთის ღონისძიების 71 სხდომას, რომლებიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას. პროკურატურამ ასეთი ტიპის დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა საქმეების 56 (79%) შემთხვევაში, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა 32 (57%) შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა სხვა ტიპის დანაშაულებზე, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას ითხოვს 45% შემთხვევაში, ხოლო სასამართლო პროკურორის შუამდგომლობას აკმაყოფილებს 75% შემთხვევაში;
- ოჯახში ძალადობის საქმეებზე სასამართლოს მიერ გირაოს შეფარდების 36 შემთხვევიდან 16 (44%) იყო დაუსაბუთებლად ღმობიერი ღონისძიება, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის ქცევას, დაზარალებულის უსაფრთხოებასა და დანაშაულის განმეორების პრევენციას;
- ოჯახური დანაშაულის დროს აუცილებელია სამართალდამცავების და პროკურატურის დროული და ეფექტიანი მუშაობა. ოჯახში ძალადობის 71 სასამართლო სხდომიდან 8 (11%) შემთხვევაში პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით შემთხვევიდან ერთი თვის ან მეტი ხნის გასვლის შემდეგ მიმართა. აქედან 3 შემთხვევაში იკვეთებოდა, რომ შუამდგომლობის დაგვიანების მიზეზი სახელმწიფო ორგანოების არაეფექტური მუშაობა იყო;
- ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კუთხით განსაკუთრებით საგანგაშო პრაქტიკაა დამკვიდრებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. ვერძოდ, დასწრებული 23 სხდომიდან, მოსამართლეს არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია პატიმრობა. 16 (70%) შემთხვევაში გამოყენებული გირაო იყო დაუსაბუთებელი, 12 (52%) იყო დაუსაბუთებლად ღმობიერი გადაწყვეტილება, ხოლო 4 (11%) შემთხვევაში გირაოს თანხის ოდენობა ბრალდებულის

მატერიალურ მდგომარეობასთან შეუსაბამოდ მაღალი იყო.

- ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით დაფიქსირდა 9 (13%) შემთხვევა 71 საქმიდან, როდესაც დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დაზარალებულს (მეუღლეს) არ ჰქონდა პრეტენზია მისი მეუღლის მიმართ;

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ნარკოტიკულ დანაშაულებზე:

- 66 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულებს (გარდა ნარკოტიკული საშუალების - მცენარე კანაფის ან მარიხუანის - მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება) ყველა შემთხვევაში გამოყენებული იყო პატიმრობა 29 (44%) და გირაო 37 (56%);
- ნარკოტიკულ დანაშაულებზე სასამართლოს მიერ გამოყენებული გირაოს ოდენობები უფრო მეტია, ვიდრე სხვა ტიპის დანაშაულებზე. ამ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე 2-ჯერ უფრო ხშირად ხდება ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენება, ვიდრე სხვა დანაშაულებზე;
- საანგარიშო პერიოდში, 415 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან გამოვლინდა 92 (22%) დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. დავესწარით ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ 97 აღკვეთის ღონისძიების სხდომას, საიდანაც 31 (33%) შემთხვევა იყო დაუსაბუთებელი;

აღკვეთის ღონისძიების გადახედვა:

- საია დაესწრო 116 წინასასამართლო სხდომას, სადაც განიხილებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი. სასამართლომ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა 106 (91%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა. აქედან 69 (65%) შემთხვევაში სასამართლომ სხდომაზე არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება;
- 5-დან 3 შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო პატიმრობით შეიცვალა. ამის მიზეზი იყო ბრალდებულის მხრიდან გირაოს თანხის არ/ვერ გადახდა;

სათანადო სასამართლო კონტროლი:

- მიუხედავად სასამართლო პროცესებზე გამოვლენილი სავარაუდო წამების/არაჰუმანური მოპყრობის შემთხვევებისა, სასამართლოს როლი

ფორმალურია. მოსამართლეს არ აქვს საკმარისი სამართლებრივი ბერკეტები ასეთ ფაქტებზე სათანადო რეაგირების განსახორციელებლად. აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესებზე ბრალდების მხარისათვის ცნობილი ხდება ასეთი ინფორმაცია, თავს არიდებს გამოძიების დაწყებას;

- კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დაკავების კანონიერებაზე ჯეროვანი სასამართლო კონტროლის არარსებობა, რაც, შესაძლოა, კანონმდებლობის ხარვეზებით იყოს გამოწვეული. უმეტესად, სხდომაზე მოსამართლეები არ ამოწმებენ დაკავების კანონიერებას;
- კვლავ პრობლემას წარმოადგენს ჩხრევისა და ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარების სიხშირე. 155 შემთხვევიდან 142 (92%) შემთხვევაში ჩხრევა და ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობით, ხოლო სასამართლომ დასაშვებად ცნო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრევა და ამოღება 140 (99%) შემთხვევაში.

საპროცესო შეთანხმება:

- წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, საპროცესო შეთანხმების განხილვისას მოსამართლეების მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრულყოფილად განმარტების კუთხით მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. კერძოდ, 297 სხდომაზე, სადაც მოსამართლემ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, 60 (20%) შემთხვევაში არ განუმარტავს ბრალდებულებისთვის, რომ, თუ სასამართლო არ დაამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელი იყო მომავალში ბრალდებულის წინააღმდეგ ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას მიანოდებდა სასამართლოს.⁵ აგრეთვე, 44 (15%) შემთხვევაში მოსამართლემ არ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას;⁶
- 303 საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომიდან 139 (46%) გრძელდებოდა 5 წუთიდან 15 წუთამდე. ასეთ მცირე დროში ფაქტობრივად შეუძლებელია, სასამართლომ სსსკ-ის XXI თავში მოცემული უფლებები ბრალდებულს სრულყოფილად განუმარტოს, დარწმუნდეს, რომ ბრალდებული თანახმაა საპროცესო შეთანხმებაზე, განიხილოს, რამდენად თანაზომიერია საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა/ფორმა და სწორედ ამის შემდგომ

5 წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 16%-ს შეადგენდა.

6 წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული უფლების განმარტება მხოლოდ 5% შემთხვევაში არ მომხდარა.

მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნული მიანიშნებს იმ პრობლემაზე, რომ საპროცესო შეთანხმებების გაფორმებაზე სასამართლო კონტროლი, შესაძლოა, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდეს;

- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე უმეტესად ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციისა ან მისი ინტერესების შესახებ სასამართლო სხდომაზე პროკურორს არ უსაუბრია;
- საპროცესო შეთანხმების სხდომაზე გამოვლინდა სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის კომუნიკაციის პრობლემა, კერძოდ 150 შემთხვევიდან გამოიკვეთა 72 (48%) ასეთი ფაქტი (მაგალითად, ადვოკატსა და ბრალდებულს არ ჰქონდათ შეთანხმებული პოზიცია; ბრალდებულს არ ჰქონდა სრული ინფორმაცია მოსალოდნელ სასჯელზე; ბრალდებულს არ ჰქონდა ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ და ა.შ.);

არსებითი სხდომა:

- 982 საქმის არსებითი განხილვის სხდომიდან 463 (47%) სხდომა გახსნისთანავე გადაიდო, ხშირად ამის მიზეზი იყო ბრალდების მხარის მონმის გამოუცხადებლობა, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ადგილი ჰქონდა პროცესების გაჭიანურებას;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა მხოლოდ ორი შემთხვევა - ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე - როდესაც დანაშაული დაკვალიფიცირდა დისკრიმინაციულ მოტივზე მითითებით. შესაბამისად, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარეს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივებზე ყურადღება არ გაუმახვილებია. მიუხედავად გენდერული დისკრიმინაციის მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, პროკურორების ანალიზი ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს;
- 73 განაჩენიდან 69 (95%) შემთხვევაში ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა, სასჯელის სახე უმეტესწილად (75%) არის თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელი. 69 გამამტყუნებელი განაჩენიდან 35 (51%) შემთხვევაში სასჯელის სახე იყო საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, 14 (20%) შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩათვალა პირობითად, 17 (25%) შემთხვევაში ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

I. პირველი წარდგენის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები

1. კანონმდებლის მოქალაქე მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში - სსსკ) 196-ე მუხლი არეგულირებს დაკავებული ბრალდებულის უფლებას, მაქსიმალურად მცირე დროში მოექცეს სასამართლო კონტროლს ქვეშ. აუცილებელია, რომ მოსამართლემ იმსჯელოს დაკავების კანონიერებაზე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, აღკვეთის ღონისძიების სახეზე. იმავდროულად, სათანადო/კვალიფიციური სასამართლო კონტროლი დიდ როლს ასრულებს ბრალდებულის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით.

დაპატიმრებული ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში არ არის მხოლოდ ბრალდებულის უფლება, არამედ წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ დაპატიმრებული პირი იყოს სასამართლო კონტროლს ქვეშ. ეს უფლება/ვალდებულება გამყარებულია როგორც ქართული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებებით.

ბრალდებულს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და საერთაშორისო კონვენციებით, პირველი წარდგენის სხდომაზე გააჩნია შემდეგი მინიმალური უფლებები: თავად წარდგეს სასამართლოს წინაშე, ჰყავდეს ადვოკატი, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, მიიღოს დასაბუთებული და კონკრეტული გადაწყვეტილება, ჰქონდეს სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლება.

სსსკ-ის 198-ე მუხლით განსაზღვრულია მიზნები და საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება აღკვეთის ღონისძიება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უმრუნველმყოფი ხასიათი. აღკვეთის ღონისძიების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება. მსჯელობა უნდა შეეხებოდეს, რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და ამოცანაა მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა.⁷ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სხვა პროცედურებთან ერთად, სასამართლო განიხილავს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი. №6466 I I-40.

დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ მიზნებს.

სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა. ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ძირითად აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად დაუნიშნოს დამატებითი ღონისძიებები,⁸ მაგალითად: პასპორტის ჩამორთმევა, დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება.

2. სსსკ-ის ანალიზი


სასამართლო, ძირითადად, ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას იყენებს - გირაოსა და პატიმრობას (ჯამში, 97%-ზე მეტი). ამასთან, ბოლო ორი საანგარიშო პერიოდია, კიდევ უფრო შემცირებულია სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ისედაც დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (3%).⁹ დაკვირვების შედეგები აჩვენებს, რომ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმებას და პირად თავდებობას სასამართლო არ აღიქვამს გირაოს და პატიმრობის რეალურ ალტერნატივად. წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, უმნიშვნელოდ შემცირდა პატიმრობისა და გირაოს დაუსაბუთებელი გამოყენება.¹⁰ კერძოდ, პატიმრობის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების 12% დაუსაბუთებელია, ხოლო გირაოს შემთხვევაში - 30% არის დაუსაბუთებელი ან/და ზედმეტად მკაცრი ღონისძიება.

8 სსსკ-ის 199(2) მუხლი.

9 წინა საანგარიშო პერიოდში სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებები გამოყენებული იყო 4% შემთხვევაში, 2016 წლის ანგარიშის მიხედვით 6%.

10 წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან 14% იყო დაუსაბუთებელი, გირაოს შემთხვევაში - 31%.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით).




2.1. აღკვეთის ღონისძიებები ქადაქების/რაიონების მიხედვით

თბილისის საქალაქო სასამართლო ძალიან მცირე ოდენობით იყენებს აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიულ სახეებს, ხოლო სხვა სასამართლოები იყენებენ მხოლოდ გირაოსა და პატიმრობას. გორის (52 საქმიდან) და თელავის (31 საქმიდან) რაიონულ სასამართლოში არცერთ შემთხვევაში არ გამოყენებულა აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიული სახე. ბათუმისა (43 საქმიდან) და ქუთაისის (103 საქმიდან) საქალაქო სასამართლოებმა მხოლოდ თითო შემთხვევაში გამოიყენეს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. თბილისის საქალაქო სასამართლომ (186 საქმიდან) ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სახე გამოიყენა 9 შემთხვევაში და მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა პირადი თავდებობა 4 შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ თელავის რაიონულ სასამართლოს არცერთი ბრალდებული არ დაუტოვებია აღკვეთის ღონისძიების გარეშე, გორსა და ბათუმში - 3-3 შემთხვევაში, ქუთაისში - 2, ხოლო თბილისში 10 შემთხვევაში დატოვეს ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

ქვემოთ, დიაგრამაზე მოცემულია გამოყენებული ალკოვითის ღონისძიებების შესახებ სტატისტიკა ქალაქების მიხედვით, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.




2.2. სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანმზღივობა


სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას. აუცილებელია, მოსამართლემ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს ყველა უფლება, რომელიც მოცემულია სსსკ-ის 197-ე მუხლში, ვერძოდ: კონკრეტული ბრალდების შინაარსი, კონკრეტული ბრალდებით განსაზღვრული მოსალოდნელი სასჯელის სახეები და ზომები. იმავდროულად, თუკი ბრალდებული წარდგა დაკავებულის სახით (საანგარიშო პერიოდში - შემთხვევათა 54%), მოსამართლე ვალდებულია, შეამონმოს დაკავების კანონიერება, განმარტოს წამების და არაჰუმანური მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება და გაარკვიოს, აქვს თუ არა ბრალდებულს საჩივარი საპროცესო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ სასამართლო ვალდებულია, განიხილოს პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების თაობაზე, შეამონმოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოთვლილი საფრთხეების არსებობა, იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე, განმარტოს მიღებული განჩინება, დაასაბუთოს სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დაუშვებლობა.

აღსანიშნავია, რომ პროცესების 20% გაგრძელდა 5 წუთიდან 15 წუთამდე. ამ დროში კი, პრაქტიკულად შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა საკითხის გამოკვლევა კვალიფიციურად და ყოველმხრივ სრულყოფილად.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა წუთების მიხედვით, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია სხდომები, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატებოდა 30 წუთს, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით, ქალაქების მიხედვით.




დაკვირვებამ აჩვენა, რომ სხდომებზე, რომლებიც გრძელდება არა უმეტეს 30 წუთისა, არ ხდება უფლებების სათანადოდ განმარტება, კერძოდ, სასამართლომ შემთხვევათა 31%-ში ბრალდებულს სრულყოფილად არ განუმარტა უფლებები.

ყურადსაღებია ვითარება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, სადაც სხდომების 50%-ზე მეტი გრძელდება არაუმეტეს 15 წუთისა, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეები სხდომის მსვლელობისას სრულყოფილად არ სწავლობენ საქმეს და მეტწილად გამოაქვთ არასაკმარისად დასაბუთებული გადანყვეტილებები აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. ამ დასკვნას ამყარებს საიას შეფასება იმასთან დაკავშირებით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების თაობაზე არის ყველაზე ნაკლებად დასაბუთებული სხვა სასამართლოებთან შედარებით.

2.3. პროკურატურის მიღწევაში აღკვეთის ღონისძიების სფეროზე

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, პროკურატურა ცდილობდა, დაესაბუთებინა შუამდგომლობები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ მრავლად იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც პროკურორის შუამდგომლობებს შაბლონური ხასიათი ჰქონდა. მართალია, ბრალდების მხარე უთითებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებზე, მაგრამ აღნიშნული არგუმენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ უკავშირდებოდა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბრალდების მხარე უფრო მეტად აქცენტს აკეთებდა დანაშაულის სიმძიმესა და ბუნებაზე, ვიდრე იმ საფრთხეებსა და რისკებზე, რომლებმაც შესაძლოა რეალურად ვერ უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების მიზნის მიღწევა. პროკურატურის შუამდგომლობები უფრო მეტად დასაბუთებული იყო პატიმრობის მოთხოვნის დროს, ვიდრე გირაოს შეთავაზების შემთხვევაში. აგრეთვე, 88% შემთხვევაში ბრალდების მხარეს არ ჰქონდა ინფორმაცია ან სათანადო დასაბუთება ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობების შესახებ. შესაბამისად, ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა არაპროპორციული და არათანაზომიერი იყო ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობასთან მიმართებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია ინფორმაცია, თუ რა მიზეზით ასაბუთებს პროკურატურა შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შუამდგომლობას, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, პროკურორები აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის დაყენებისას ერთდროულად მიუთითებდნენ სსსკ-ის 198 (2) მუხლის რამდენიმე საფუძველზე.

აღკვეთის ღონისძიების სხდომების 51%-ის შემთხვევაში პროკურორი, სხვა საფუძველთან ერთად, მიუთითებდა ბრალდებულის მიმალვის საფრთხეზე, თუმცა, მიმალვის საფრთხის დასაბუთება სასამართლომ 73% შემთხვევაში

არ გაიზიარა. ასევე, ძალიან ხშირად პროკურორი დამატებით ასახელებდა რამდენიმე საფუძველს, თუმცა, მათზე უბრალოდ მიუთითებდა და არ მსჯელობდა.

2.4. სასამართლოს მიდგომაში ალკჰეთის ღონისძიების სხრომაზე

სასამართლოს გადაწყვეტილებებში შეინიშნებოდა პოზიტიური მაგალითები, თუმცა, პატიმრობისა და გირაოს გამოყენების შესახებ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების პროცენტული მაჩვენებელი (საერთო ჯამში 22%) მიანიშნებს ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზებსა და გამოწვევებზე. გარკვეულ შემთხვევებში ალკჰეთის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო საფრთხეებს აბსტრაქტულად აფასებდა, რაც არ წარმოადგენს იმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომლის დროსაც შეიძლება კონკრეტული ალკჰეთის ღონისძიების გამოყენების მტკიცება.

სასამართლოსა და პროკურატურის მიდგომებიდან გამომდინარე, რჩება შთაბეჭდილება, რომ ხშირად მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე წარმოადგენს ალკჰეთის ღონისძიების გამოყენების ძირითად საფუძველს.

2.5. დახვის მხარის პოზიცია ალკჰეთის ღონისძიების სხრომაზე

უნდა აღინიშნოს, რომ დაცვის მხარის პოზიცია ალკჰეთის ღონისძიების სხდომაზე ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენდა ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების დაცვას. კერძოდ, ადვოკატები მხოლოდ ფორმალურად ეწინააღმდეგებოდნენ ბრალდების მხარეს, მოუმზადებლები მოდიოდნენ პროცესზე ან დადებითად აფასებდნენ პროკურორის მიერ წარმოდგენილ შუამდგომლობებს. არაერთ სხდომაზე დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლოსთვის დასაბუთებულად მიემართა შუამდგომლობით პროკურატურის მიერ მოთხოვნილზე ნაკლებად მკაცრი ალკჰეთის ღონისძიების გამოყენებისა ან/და ალკჰეთის ღონისძიების გარეშე დატოვების თაობაზე, თუმცა, ეს არ გაუკეთებია. აღნიშნული ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ დაცვის მხარე არ იყო ეფექტიანი და არ იჩინდა სათანადო ძალისხმევას ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

მიუხედავად ზოგადი მდგომარეობისა, იყო მცირე რაოდენობის შემთხვევები, როდესაც ადვოკატები კვალიფიციურად, სამართლებრივად დასაბუთებულ შუამდგომლობებს აყენებდნენ ალკჰეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით. რიგ შემთხვევაში პროკურორის მოყვანილი არგუმენტები ადვოკატმა გააბათილა და წარმოადგინა კონტრარგუმენტი, რომელიც სასამართლომ გაითვალისწინა.

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატებს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის მოსამზადებლად ძალიან ცოტა დრო

აქვთ და მტკიცების ტვირთი ეკისრება პროკურორს, აუცილებელია, მათ მაქსიმალურად ეფექტიანად დაიცვან ბრალდებულის საუკეთესო ინტერესები, მათ შორის, სასამართლო პროცესზე მოსთხოვონ პროკურორს, დაასაბუთოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

II. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

ადამიანის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. შესაბამისად, ის უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, როდესაც პატიმრობა არის ერთადერთი შემთავსებელი საშუალება მართლმსაჯულების განსახორციელებლად. პატიმრობა უკიდურესი ღონისძიებაა და ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშემშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება.

გემოხსენებული საფრთხეები დამონმებული უნდა იყოს დამატებული და რელევანტური გარემოებებით, მტკიცებულებებით. პატიმრობის გამოყენების თაობაზე მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარეს ეკისრება. პროკურორმა მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოს ფაქტები და ინფორმაცია, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს, რომ პატიმრობის გამოყენების საფუძველი არსებობს. ამასთან, პროკურორმა სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების მიზანშეუწონლობა უნდა დაასაბუთოს ფაქტობრივი გარემოებებით და არა - აპელირებით ბრალდებულის პიროვნებაზე, დანაშაულის სიმძიმესა ან სასჯელის სიმკაცრეზე.

პატიმრობის შუამდგომლობის დაყენებისას პროკურორები ხშირად ერთდროულად უთითებდნენ ყველა საფუძველს, რომელიც მოცემულია სსსკ-ის 198 (2) მუხლში, რაც ერთმნიშვნელოვნად არასწორია. რამდენიმე საფუძველზე ერთად დაუსაბუთებლად მითითება შუამდგომლობას დამატებლობას არ მატებს, პირიქით - წარმოაჩენს მას, როგორც სტანდარტულს და შაბლონურს.

თავის მხრივ, სასამართლოსაც მართებს, სათანადოდ შეაფასოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, გაითვალისწინოს რისკებისა და საფრთხეების ხარისხი და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილებები პატიმრობის გამოყენების შესახებ. სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება მაშინ არის დაუსაბუთებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ

ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, აბსტრაქტულად არის შეფასებული საფრთხეები და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შესაძლებელია შესაბამისი მიზნების მიღწევა.

წინასწარი პატიმრობა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გონივრული და აუცილებელი.¹¹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა გამოიყენებოდეს დასჯის მიზნით.¹²

2. სასამართლო სსლომების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა პატიმრობის გამოყენების შემთხვევები, რა დროსაც რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ ღონისძიებას უფრო სადამსჯელო ხასიათი ჰქონდა. სამწუხაროდ, ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებს ჯერ კიდევ არ აქვთ სათანადოდ გათავისებული, რომ პატიმრობა არის უკიდურესი ღონისძიება და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე ვერ გამოდგება მისი გამოყენების გასამართლებლად. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, წინა საანგარიშო პერიოდთან მიმართებით, უმნიშვნელოდ შემცირდა პატიმრობის დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი და 12% შეადგინა.¹³ კერძოდ, პატიმრობის გამოყენების შესახებ მიღებული 141 გადაწყვეტილებიდან 17 ბრალდებულის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და ზედმეტად მკაცრი ღონისძიება.


გორის რაიონულმა სასამართლომ 52 აღკვეთის ღონისძიების სხდომიდან აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა გამოიყენა 26(50%) შემთხვევაში, აქედან 2 იყო დაუსაბუთებლად მკაცრი ღონისძიება; თელავის რაიონულმა სასამართლომ 31 საქმიდან გამოიყენა 13(42%) პატიმრობა - 1 იყო დაუსაბუთებელი; ბათუმის საქალაქო სასამართლომ 43 საქმიდან 10(23%) შემთხვევაში გამოიყენა პატიმრობა - 1 იყო დაუსაბუთებელი; ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 103 საქმიდან 12(17%) შემთხვევაში გამოიყენა პატიმრობა - 2 იყო დაუსაბუთებელი; თბილისმა კი 186-დან 80(43%) საქმეში გამოიყენა პატიმრობა - 11 იყო დაუსაბუთებლად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

11 Pacuria v. Georgia, no. 30779/04, 6 November, 2007, §62-65.


12 Recommendation №R (80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial

13 წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პატიმრობის გამოყენების გადაწყვეტილების 14% იყო დაუსაბუთებელი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს დაუსაბუთებელი პატიმრობის შესახებ გადამწყვეტილებებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ქალაქების მიხედვით დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს პატიმრობის შესახებ, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარე ცდილობდა შუამდგომლობების დასაბუთებას პატიმრობის გამოყენების თაობაზე და ამისათვის შესაბამისი არგუმენტებიც მოჰყავდა. 30% შემთხვევაში ბრალდების მხარე პატიმრობის დასაბუთებლად იშველიებდა დანაშაულის სიმძიმესა და სასჯელის სიმკაცრეს და არ საუბრობდა არსებული საფრთხეებისა და რისკების რელევანტურობაზე. ასეთ დროს, იშვიათ შემთხვევებში, მოსამართლე არ აკმაყოფილებდა შუამდგომლობებს და არგუმენტირებულად ასაბუთებდა მიღებულ განჩინებას.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, სადაც მოსამართლე არგუმენტირებულად ასაბუთებს მიღებულ განჩინებას და არ აკმაყოფილებს პატიმრობის შესახებ შუამდგომლობას:

ბრალდებულს ედავებოდნენ ქურდობას (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი და მე-4 ნაწილის "გ" ქვეპუნქტი). პროკურორი ითხოვდა პატიმრობას და საფუძვლად მიუთითებდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე. პირი იყო ნასამართლევ და პროკურორი ასევე აპელირებდა მიმალვის საფრთხეზე, რომელსაც ამყარებდა მხოლოდ იმით, რომ სასჯელის სახეს წარმოადგენდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

სასამართლომ განმარტა: „სასამართლო იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, რომ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალური საფუძველი. შეკრებილი ინფორმაცია იძლევა საკმარის საფუძველს, რომ შესაძლოა ბრალდებულს მართლაც ჰქონდეს ჩადენილი ბრალად წარდგენილი ქმედება. სახეზეა ახალი დანაშაულისა და მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეები, თუმცა, ამ საფრთხეების ხარისხი არ საჭიროებს პატიმრობის გამოყენებას. ბრალდებული აღიარებს და ინანიებს, მას ნაკლები მოტივაცია უნდა ჰქონდეს ახალი დანაშაულის ჩასადენად. 2015 წელს დატოვა პენიტენციური დაწესებულება, ეს კვალიფიკაციას განაპირობებს და მძიმე სასჯელს, თუმცა, წინა დანაშაული 2006 წელს არის ჩადენილი, დიდი ხანია მას შემდეგ გასული...“

სასამართლომ, მას შემდეგ, რაც გამოარკვია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, აღკვეთის ღონისძიების სახედ შეუფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განჩინება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ გირაოს გამოყენებისას მოსამართლემ პროცესზე გამოარკვია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა - მუშაობს თუ არა, ფლობს თუ არა უძრავ ქონებას და განჩინების მიღებისას გაითვალისწინა ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა.

ამის პარალელურად, საქმეების 12% შემთხვევებში პროკურატურის არასაკმარისი დასაბუთებისა და გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობის მიუხედავად, სასამართლომ მაინც აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა გამოიყენა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას პატიმრობის თაობაზე, მიზეზად კი მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შიშით მიმალვის საფრთხეს ასახელებს:


პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი). ბრალდებული ნებაყოფლობით გამოცხადდა სასამართლოში, აღიარებდა დანაშაულს და თანამშრომლობდა გამოძიებასთან. არ ყოფილა ნასამართლევი.

პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

პროკურორიც და სასამართლოც მთავარ არგუმენტად მიუთითებდნენ მიმალვის საფრთხეს, ვინაიდან ბრალდებული იყო უცხოელი და შეეძლო, დაეტოვებინა ქვეყანა.

აღნიშნული არგუმენტი არარელევანტური და უსაფუძვლოა, ვინაიდან ბრალდებული თავად გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე. ამასთან, მოსამართლეს შეეძლო გამოეყენებინა აღკვეთის ნაკლებად მძიმე ღონისძიება და დამატებით ღონისძიებად განესაზღვრა პასპორტის ჩამორთმევა, რაც გაანეიტრალებდა მიმალვის საფრთხეს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი პატიმრობების სიხშირეს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.




აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი 2 ერთეულით გაიზარდა და 45% შეადგინა. გაიზარდა სასამართლოს მიერ პატიმრობის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელიც. თუ წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობები 72% შემთხვევაში დააკმაყოფილა, ამ საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 75%-ია.

დანარჩენი 25%-დან, 24.5% შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა პატიმრობის შუამდგომლობა¹⁴ და გირაო გამოიყენა, ხოლო შემთხვევათა

14 188 ბრალდებულიდან, რომელთა მიმართაც პროკურორი პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, მოსამართლემ 141 ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა, 46 ბრალდებულის მიმართ გამოიყენა გირაო, ხოლო 1 ბრალდებულის მიმართ - შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

0.5%-ში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახედ განესაზღვრა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, სადაც ასახულია სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული პატიმრობის შუამდგომლობების სტატისტიკა მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



III. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

გირაო აღკვეთის ღონისძიების მკაცრი სახეა, რა დროსაც ბრალდებული, სათანადო ქცევის უზრუნველყოფის მიზნით, იხდის კონკრეტულ თანხას ბიუჯეტის სასარგებლოდ.

სსკ-ის 200 (2) მუხლის მიხედვით, გირაოს თანხის ოდენობა გამოიანგარიშება დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხის მინიმალური ოდენობა არის 1000 ლარი. ბრალდებულს ან იმ პირს, რომელმაც გადაიხადა გირაოს თანხა ან ეკვივალენტური უძრავი ქონება, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება ან ქონებას ეხსნება ყადაღა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში. ზემოხსენებული რეგულაცია მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინვნით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიებით.¹⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი პირდაპირ ავალდებულებს პროკურორს, გირაოს (მისი ოდენობის) მოთხოვნამდე გამოარკვიოს ბრალდებულის ფინანსური (ქონებრივი) მდგომარეობა. ასევე, სასამართლო ვალდებულია, გირაოს შერჩევასა და მისი ოდენობის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან¹⁶ ერთად, გაითვალისწინოს ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობები. სასამართლომ იმ შემთხვევაშიც უნდა მიაქციოს ყურადღება აღნიშნულ გარემოებას, როდესაც პროკურატურა არ წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, დაცვის მხარეს არ აკისრია ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.

გირაოს შეცვლა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა: ა) არ გადაიხადა დაკისრებული თანხა დროულად; ბ) დაარღვია გირაოს პირობები; გ) დაარღვია კანონი.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება დაკისრებული თანხის გადახდა, გირაო შეიძლება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით - პატიმრობით. აღნიშნული დათქმა გულისხმობს, რომ სავალდებულო არ არის, თანხის გადაუხდელობის მოტივით ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება გაუმკაცრდეს. პირველ ეტაპზე პროკურორს შეუძლია თავად გადაწყვიტოს, მიმართოს თუ არა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით. შემდგომ ეტაპზე კი, უკვე სასამართლო მსჯელობს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის აუცილებლობაზე. თავდაპირველად პროკურორმა, ხოლო შემდგომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რატომ ვერ მოხერხდა გირაოს თანხის გადახდა. ბრალდებულმა განზრახ აარიდა თავი გირაოს თანხის გადახდას, თუ ეს ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული.

არსებობს ორი ტიპის გირაო: პატიმრობის უზრუნველყოფით და პატიმრობის უზრუნველყოფის გარეშე. გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გულისხმობს,

15 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი.

16 მაგალითად: ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

რომ ბრალდებული მანამ რჩება პენიტენციურ დაწესებულებაში, სანამ გირაოს თანხას (ან გირაოს თანხის 50%-ს) არ გადაიხდის.¹⁷

გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ იმ ბრალდებულს, რომელიც სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე წარდგა დაკავებულის სახით. თუმცა, დაკავებული პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შემთხვევაში, აუცილებელი არ არის გირაო გამოყენებული იყოს პატიმრობის უზრუნველყოფით.

აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი და ზედმეტად დიდი ოდენობის გირაო, ფაქტობრივად, პირის პატიმრობას უდრის (ე.წ. შეფარული პატიმრობა). დაუსაბუთებელი ან ზედმეტად დიდი ოდენობის გირაოს დაკისრება განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია, როდესაც გამოყენებულია პატიმრობით უზრუნველყოფის ღონისძიება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გირაოს უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, კერძოდ, ბრალდებულს აღნიშნული ქონების დაკარგვა უნდა უქმნიდეს მნიშვნელოვან მატერიალურ დანაკლისს, რის გამოც შეეცდება, შეასრულოს გირაოს პირობები.¹⁸

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პირის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს გირაოს თანხის გადახდას.¹⁹ აგრეთვე, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სახელმწიფოებს იგივე გულმოდგინება ეკისრებათ, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას.²⁰

2. სასამართლო სტრუქტურის ანალიზი

საიამ გამოავლინა ზემოხსენებული წესებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე დაუსაბუთებლად ითხოვდა გირაოს გამოყენებას და არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ხშირად ბრალდების მხარე მხოლოდ გირაოს გამოყენების დასაბუთებით შემოიფარგლებოდა და თავს არიდებდა საუბარს გირაოს ოდენობასთან დაკავშირებით. მართალია, სასამართლო ცდილობდა პირის ქონებრივი შესაძლებლობების დადგენას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო არ იყო ზომიერი და სათანადო ღონისძიება.

სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ დაუსაბუთებელი გირაოს

17 სსსკ-ის 200 (6) მუხლი.

18 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, 577-578.

19 Neumeister v. Austria, no.1936/63, 27 June, 1968, §18; Iwanczuk v. Poland, no. 25196/94, 15 November, 2001, §66-70.

20 Iwanczuk v. Poland, no. 25196/94, 15 November, 2001, §66-70.

წილი წინა საანგარიშო პერიოდის შემდეგ პრაქტიკულად უცვლელია და 30%-ით განისაზღვრა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.²¹ ხშირად, პროკურორები სათანადოდ არ ასაბუთებდნენ გირაოს გამოყენების აუცილებლობას და, პატიმრობასთან შედარებით, ნაკლებ ძალისხმევას იჩენდნენ მისი მიზანშეწონილობის გასამართლებლად. ცალკეულ შემთხვევებში ბრალდების მხარე საერთოდ არ საუბრობდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებსა და საფრთხეებზე და მხოლოდ წარდგინილი ბრალდების შინაარსს კითხულობდა. აგრეთვე, მოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი საფრთხეების აბსტრაქტულად არსებობაზე მიუთითებდა, მოსამართლე ასეთ შუამდგომლობებს აკმაყოფილებდა და ნაკლები გულმოდგინებით ეკიდებოდა აღნიშნული ღონისძიების საფუძვლიანობისა და მიზანშეწონილობის შემოწმებას.²²

ამ საანგარიშო პერიოდში პროკურორმა ბრალდებულთა 49%-ის (415 ბრალდებულიდან 205) მიმართ მოითხოვა გირაოს გამოყენება. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი შემცირებულია 5%-ით. გამოყენებული გირაოს ოდენობა 1000-დან 50.000 ლარამდე მერყეობდა. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობა განისაზღვრა 3245 ლარით.

24 (12%) შემთხვევაში, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე. ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლო 4 პროცენტული ერთეულით უფრო ხშირად აკმაყოფილებდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას გირაოსთან დაკავშირებით,²³ აქედან: 14 (58%) ბრალდებული დატოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე, 6 (25%) შემთხვევაში შეუფარდა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, ხოლო 4 (17%) შემთხვევაში პირადი თავდებობა გამოიყენა. საია მიესალმება სასამართლოს მხრიდან ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის აღკვეთის გარეშე დატოვების ფაქტებს, როდესაც სახეზე არ არის მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების


21 წინა საანგარიშო პერიოდში გირაოს გამოყენება 31% შემთხვევაში იყო დაუსაბუთებელი.
22 საია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც, მაგალითად, მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადანყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საშიშროა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი. ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევაში, მოსამართლეები არ იკვლევდნენ ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობასა და გირაოს დაკისრებისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს; იყო შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად დაცვის მხარის თანხმობისა გირაოს გამოყენების თაობაზე, საიამ სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო მაინც დაუსაბუთებლად მიიჩნია, ვინაიდან დაცვის მხარის თანხმობა ან სურვილი გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით არ ამძაფრებს ან ანეიტრალებს იმ საფრთხეებს, რა მიზნითაც აღკვეთის კონკრეტული ღონისძიება გამოიყენება.

23 წინა საანგარიშო პერიოდში 25 (16%) შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე.


ფორმალური ან/და ფაქტობრივი გარემოებები.

სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების გამოუყენებლობის გარდა, იყო შემთხვევები, როდესაც პროკურორმა აღკვეთის ღონისძიება არ მოითხოვა. დათქმირდა ასეთი 11 (3%) შემთხვევა, თუმცა, აღნიშნულის მიზეზი იყო ის, რომ ბრალდებული სხვა საქმეზე უკვე იყო მსჯავრდებული ან სხვა საქმეზე შეფარდებული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა.


ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების ტენდენციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია ქალაქების მიხედვით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები გირაოს თაობაზე, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია ინფორმაცია, თუ რამდენი გირაო - პატიმრობის უზრუნველყოფით - იყო დაუსაბუთებელი.



გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით სასამართლომ 64 შემთხვევაში გამოიყენა (გამოყენებული 245 გირაოდან 64 იყო ე.წ. საპატიმრო გირაო - 26%), აქედან 25 (39%) იყო დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული. შესაბამისად, 25 გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით უნდა მივიჩნიოთ ე.წ. შეფარულ პატიმრობად.

განსაკუთრებული პრობლემაა გირაოს ოდენობის დასაბუთების საკითხი. ბრალდების მხარეს უმეტესად არ აქვს შესწავლილი ბრალდებულთა გადახდისუნარიანობა. 88% შემთხვევაში პროკურორს არ ჰქონდა დასაბუთება ან სათანადო არგუმენტაცია ბრალდებულთა მატერიალური შესაძლებლობების შესახებ. ზოგჯერ სასამართლო ეკითხებოდა პროკურორს, როგორ განსაზღვრა გირაოს ოდენობა, თუმცა, ბრალდების მხარეს დამატებელი და სათანადო არგუმენტები არ გააჩნდა.

საილუსტრაციოდ იხილეთ, ქურდობის მცდელობის მაგალითი, სადაც მიყენებული ზიანი არის მცირე მნიშვნელობის და, იმავედროულად, ბრალდებული არის სოციალურად დაუცველი. პროკურორს არ აქვს შესწავლილი ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა და ისე ითხოვს გირაოს. მოცემული მაგალითი ასევე აჩვენებს სასამართლოს მხრიდან ბრალდებულის სოციალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობას. ქვემოთ მოცემულ საქმეში, ზიანის მცირე მნიშვნელობის გამო, მოსამართლეს შეეძლო, ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დაეტოვებინა:

ქურდობის მცდელობაში (სსკ-ის მე-19, 177 (1) მუხლი) ბრალდებული პირის მიმართ პროკურორი ითხოვდა გირაოს 1000 ლარის ოდენობით. პროკურორის განცხადებით, ბრალდებული შეეცადა, მარკეტში დაუფლეთოდა 15 ლარის ღირებულების ნივთს. ის აღიარებდა დანაშაულის ჩადენას. არ ყოფილა ნასამართლევი.

მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოიყენა გირაო 1000 ლარის ოდენობით, ხოლო გადახდის ვადად განსაზღვრა 30 დღე.

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც პროკურორმა ქურდობის მცდელობაში ბრალდებული პირის მიმართ მოითხოვა გირაოს თანხა, რომელიც შესაბამოდ აღემატებოდა ბრალდებულის მატერიალურ შესაძლებლობებს. ასეთ დროს პრობლემატური საკითხია, როგორ უნდა იმოქმედოს სასამართლომ, როდესაც სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური, ისე ფაქტობრივი გარემოებები და როდესაც შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული იყოს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ (მაშინ, როდესაც დანაშაულით გათვალისწინებული სასჯელის ზომა აღემატება ვადიანი თავისუფლების აღკვეთის 1 წელს) და პირადი თავდებობა (როდესაც ბრალდებულს წარმოდგენილი არ ჰყავს პირადი თავდები).

გირაოს გამოყენება, როდესაც ძალიან დიდი ალბათობით ბრალდებული ვერ გადაიხდის გირაოს თანხას, აჩენს რისკს, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება - გირაო შეეცვლება პატიმრობით. ასეთ დროს, სსსკ-ის 199-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლეს არ აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება, რითაც ზიანდება ბრალდებულის ინტერესები:

პირს ბრალი ედებოდა ქურდობის მცდელობაში (სსკ-ის 19, 177 (3) ა მუხლი). პროკურორის განცხადებით, ბრალდებული დაეუფლა 2 ცალ ხორცის კონსერვს და 1 ცალ კეტჩუპს, რის შედეგადაც მალაზიას მიაღდა ზიანი 18 ლარის ოდენობით. ბრალდებული ცხოვრობს ქუჩაში, არ გააჩნია სახლი, არ ჰყავს ოჯახის წევრი.

პროკურორი აპელირებდა იმაზე, რომ ბრალდებული უნინ გასამართლებული იყო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში და სწორედ ამიტომ უნდა შეფარდებოდა მას აღკვეთის ღონისძიება - გირაო 6000 ლარის ოდენობით.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ ზიანი უმნიშვნელო იყო (სსკ-ის მე-7 (2) მუხლი), შესაბამისად, საერთოდ არ უნდა დამდგარიყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ადვოკატმა მოითხოვა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება.

მოსამართლემ გამოარკვია ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, თუმცა, აღკვეთის ღონისძიების სახედ განსაზღვრა გირაო 1000 ლარის ოდენობით.

საილუსტრაციოდ იხილეთ, პროკურორის და სასამართლოს მხრიდან ბრალდებულის სოციალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობის მაგალითი. კერძოდ, მოსამართლემ ბრალდებულს განუსაზღვრა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით მაშინ, როდესაც ბრალდებული იყო გადახდისუუნარო. ასეთ დროს ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენება “შეფარულ პატიმრობას” უდრის:

პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სსკ-ის 177(3)). პროკურორმა, ისე, რომ არ ჰქონდა გამოკვლეული ბრალდებულის ფინანსური შესაძლებლობები, მოითხოვა 6000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა, რომ იყო მწყემსი და არ ჰქონდა თანხის გადახდის შესაძლებლობა. მოსამართლემ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და აღკვეთის ღონისძიებად განსაზღვრა 4000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

მიუხედავად ზემოხსენებული უარყოფითი შემთხვევებისა, დაფიქსირდა მოსამართლეების დადებითი და პოზიტიური მიდგომებიც. საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითები, სადაც სასამართლომ ადეკვატურად, მაღალი პასუხისმგებლობით შეაფასა პროკურორის შუამდგომლობები და სამართლიანი, არგუმენტირებული გადაწყვეტილება მიიღო:

» პირს ბრალი ედებოდა თაღლითობაში, ქურდობასა და სხვის კომპიუტერში უკანონო შეღწევაში (180-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი და 284-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). პროკურორმა მოითხოვა 15000 ლარის ოდენობის გირაო ისე, რომ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა არ ჰქონდა გამოკვლეული.

მოსამართლემ დეტალურად გამოჰკითხა ბრალდებულს მისი ფინანსური შესაძლებლობები, ხელფასის ოდენობა და ა.შ. ასევე, გამოარკვია, რომ ბრალდებული იყო სოციალურად დაუცველი. მოსამართლემ, მას შემდეგ, რაც დეტალურად შეისწავლა ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა, პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული თანხა შეამცირა 13.000 ლარით და აღკვეთის ღონისძიებად გამოიყენა გირაო 2000 ლარის ოდენობით.

პროკურორმა რეპლიკის სახით განაცხადა: „ფინანსურ სარგებელსა და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შეუსაბამო იქნება ეს ოდენობა“. მოსამართლემ აღნიშნა: „თუ ვერ გადაიხდის, ფაქტობრივად ვწირავთ პატიმრობისთვის“.

» ბრალდებულს ედავებოდნენ ქურდობის ჩადენას (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი). პროკურორი ითხოვდა გირაოს 2000 ლარის ოდენობით. ბრალდებულმა აღნიშნა, რომ ყველა დაბარებაზე გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში, არის მწვრთნელი, მუშაობს ორ ადგილას, არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, აქვს იპოთეკური სესხი და ყოველთვიურად იხდის გადასახადებს, არასდროს ყოფილა ნასამართლევი.

მოსამართლემ გაიზიარა ბრალდებულის პოზიცია და აღნიშნა, რომ სახეზე არ იყო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველი.

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არასწორად გამოიყენა აღკვეთის ღონისძიებად შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ,²⁴ ვინაიდან დანაშაული, რომელსაც პროკურატურა ბრალდებულს

24 შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ დანაშაულის საქმეზე, რომელიც სასჯელის სახით არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 1 წელზე მეტი ვადით (სსკ-ის 202-ე მუხლი).

ედავებოდა ითვალისწინებდა 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. დადებითად უნდა შეფასდეს მოსამართლის სურვილი, შეეთარდებინა აღკვეთის ღონისძიების სახედ ალტერნატიული ღონისძიება, თუმცა, მას კანონი ამის უფლებას არ აძლევდა:


პირს ბრალად ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენება (სსკ-ის 120-ე მუხლი). პროკურორი ითხოვდა გირაოს, თუმცა, მოსამართლის აზრით, არ იყო აუცილებელი გირაოს გამოყენება და შეუფარდა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიება.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ განმარტა ბრალად წარდგენილი მუხლი - სსკ-ის 120-ე მუხლი და მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა - თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე ვადით. ამ მუხლში შევიდა ცვლილება 2016 წლის 24 ივნისს და სასჯელის სახედ და ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ვადით (სხვა სასჯელებთან ერთად).

მოსამართლემ გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, აღნიშნა, რომ არ შეიძლებოდა მსჯელობა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეზე, პირი არ იყო ნასამართლევნი და გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღებოდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო უმეტესწილად ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას. კერძოდ, ბრალდებულთა 73%-ის შემთხვევაში, მართალია, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე, თუმცა, იმავედროულად, შეამცირა თანხის ოდენობა. ის ფაქტი, რომ სასამართლო უმრავლეს შემთხვევაში ამცირებს პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხას, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ პროკურატურას სათანადოდ არ აქვს გამოკვლევული ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობები და არაადეკვატურად, შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის თანხის გადახდას სთხოვს ბრალდებულს, რაც შეიძლება იმაზე მეტ ტვირთს აკისრებდეს პირს, ვიდრე ეს აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხშირად ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას, მის მიერ გამოყენებული გირაოს ოდენობებიც, გარკვეულ შემთხვევებში, იყო დაუსაბუთებელი, რასაც ზემოთ მოცემული მაგალითები ადასტურებს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სასამართლოს მხრიდან პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობის შემცირების ტენდენცია მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში, 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



IV. ალკვეთის ღონისძიების გადანიჭვის შესახებ სასამართლო სტრატეგია

1. სტრატეგიის ანალიზი

საია დაესწრო 116 წინასასამართლო სხდომას, სადაც ალკვეთის ღონისძიების საკითხი გადაიხედა. აქედან 108 შემთხვევაში სასამართლომ საკუთარი ინიციატივით გადასინჯა ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხი, 4 შემთხვევაში - დაცვის მხარის ინიციატივით, ხოლო 4 შემთხვევაში განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შეთარღვეული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა 106 (91%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა, რომელთაგან 69 (65%) შემთხვევაში სასამართლომ სხდომაზე არ დაასაბუთა ან არასაკმარისად დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება, ხოლო 37 (35%) შემთხვევაში სრულად დაასაბუთა პატიმრობის ძალაში დატოვების გადანყვეტილება. ასეთ შემთხვევებში სასამართლო საუბრობდა, რომ მტკიცებულებები საქმეზე მოპოვებულია, თუმცა, არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, დაზარალებულის უსაფრთხოების საკითხი და სხვა (მაგალითად, დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაცია, როდესაც საქმე ეხებოდა ოჯახურ ძალადობას).

116 საქმიდან 5 (4%) შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს პატიმრობა შეუცვალა გირაოთი, ხოლო 1 შემთხვევაში ე.წ. საპატიმრო გირაო შეცვალა შეთანხმებით გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. ასეთი ფაქტები, ცხადია, განხილული უნდა იყოს, როგორც სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკის ნაწილი, როდესაც სხდომაზე მოსამართლის მხრიდან სრულფასოვნად ხორციელდება პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხის შემოწმება და, საფუძვლიანი გამოკვლევის შემდგომ, დასაბუთებულად ხდება პატიმრობის შეცვლა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 5-დან 2 შემთხვევაში გირაოს თანხის ოდენობა მოსამართლის მხრიდან არ იყო დასაბუთებული, ვინაიდან ბრალდებულები საუბრობდნენ, რომ შეეძლოთ გადაეხადათ მხოლოდ მინიმალური ოდენობის გირაო, ხოლო სასამართლომ ერთ შემთხვევაში - 2000 ლარიანი გირაო, ხოლო მეორე შემთხვევაში - 4000 ლარიანი გირაო გამოიყენა.

წინასასამართლო სხდომაზე დაფიქსირდა 4 შემთხვევა, როდესაც პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების - გირაოს შეცვლის თაობაზე და გირაოს გადაუხდელობის გამო მოითხოვა პატიმრობა. 2 შემთხვევაში სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, 2 შემთხვევაში კი, არ დაეთანხმა პროკურორს და ბრალდებულები ფაქტობრივად აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა. სასამართლომ 2 შემთხვევაში არგუმენტირებულად უთხრა უარი პროკურორს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე და მიუთითა, რომ არსებობდა ობიექტური გარემოებები, რის გამოც ვერ მოხერხდა თანხის გადახდა, კერძოდ, საკმარისი თანხის უქონლობა.

4-დან 1 შემთხვევაში მოსამართლეს შეეძლო, არ შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება უფრო მკაცრი ღონისძიებით. სსსკ-ის მე-200 მუხლის მიხედვით, მოსამართლემ უნდა გამოიკვლიოს, გირაოს თანხის გადახდა არ მოხდა მიზანმიმართულად თუ ობიექტური მიზეზით, ასევე, უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ქცევა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს განსაზღვრის შემდგომ პერიოდში. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ბრალდებულს არ ჩაუდენია ახალი დანაშაული, არ უცდია მიმალვა, ცხადდებოდა საგამომძიებო უწყებაში, გამოთქვამდა მზადყოფნას საპროცესო შეთანხმების დადებასთან

დაკავშირებით, აღიარებდა ჩადენილ დანაშაულს:

პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული ნივთიერების დიდი ოდენობით შეძენა-შენახვაში (სსკ-ის 260(3) ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). აღკვეთის ღონისძიებად განსაზღვრული ჰქონდა გირაო 5000 ლარის ოდენობით. აღვოკატის განცხადებით, ბრალდებულმა თანხა არ გადაიხადა იმ მოტივით, რომ მზადდებოდა საპროცესო შეთანხმება დაცვის მხარესა და ბრალდების მხარეს შორის, რომლითაც უნდა განსაზღვრულიყო ჯარიმა სასჯელის ზომად. ბრალდებული სწორედ საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემდეგ აპირებდა ჯარიმის გადახდას.

პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა გირაოს შეცვლის თაობაზე და მოითხოვა პატიმრობა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. მოსამართლემ აღნიშნა: „სსკ-ის მე-200 მუხლის მიხედვით, გირაოს გადაუხდელობის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიება იცვლება უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით. შესაბამისად, კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, უნდა დაკმაყოფილდეს პროკურორის მოთხოვნა და აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება უნდა შეიცვალოს უფრო მკაცრით.“

საია დაესწრო 13 სასამართლო სხდომას, რომლებიც ეხებოდა მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხს. კერძოდ, 10 შემთხვევაში დაცვის მხარემ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის შეცვლა ნაკლებად მძიმე ღონისძიებით. 2 შემთხვევაში ბრალდების მხარემ მოითხოვა შეფარდებული პატიმრობის გახანგრძლივება, ერთ შემთხვევაში კი, პროკურორის შუამდგომლობით, აღკვეთის ღონისძიება - გირაო უფრო მძიმე ღონისძიებით - პატიმრობით შეიცვალა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის არცერთი შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე, მიუთითებდა რა, რომ არ არსებობდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი და ბრალდებულის სასამართლოში პირველი ნარდგენის სხდომისას გამოკვლეული საფრთხეები კვლავ სახეზე იყო.

რაც შეეხება პროკურორის შუამდგომლობებს, სასამართლომ ორივე შემთხვევაში დააკმაყოფილა წინასასამართლო სხდომის თარიღის გადაწვევა და, ამასთან, პატიმრობის გაგრძელება.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი - აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ სხდომაზე განიხილებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ბრალდებულთათვის შეფარდებული გირაოს პატიმრობით შეცვლის თაობაზე:

ორ პირს ბრალი ედებოდა თაღლითობასა და ყალბი დოკუმენტის შექმნაში (სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” და “ბ” ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი - 6 ეპიზოდი). ორივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო 2500 ლარის ოდენობით. ვადად განისაზღვრა 30 დღე, თუმცა, გირაოს შეტანა დადგენილ ვადაში არ მოხდა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულებმა სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე განაცხადეს, რომ ამ თანხის გადახდის შესაძლებლობა არ ჰქონდათ და მოითხოვეს გირაოს თანხის მინიმუმამდე შემცირება, რაც მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

მოსამართლემ ბრალდებულებს ჰკითხა, ვცადენ თუ არა თანხის გადახდას. ბრალდებულებმა მიუგვეს, რომ თანხა არ ჰქონდათ და მისი დროულად გადახდა ვერ მოახერხეს. მოსამართლემ ასევე გამოარკვია, რომ ბრალდებულებს წერილობით არ მიუმართავთ პროკურორისთვის თანხის შემცირების თხოვნით. ადვოკატმა განაცხადა, რომ ბრალდებულები თანამშრომლობდნენ გამოძიებასთან, არ არსებობდა მიმალვის საფრთხე და ამ ხნის განმავლობაში არ ჩაუდენიათ ახალი დანაშაული. პროკურორმა აღნიშნა, რომ გირაოს თანხის ნახევარი მაინც რომ გადაეხადათ, აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნას არ დააყენებდა.

მოსამართლემ დაასკვნა, რომ ბრალდებულების მხრიდან დარღვეულია სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნები. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიება - გირაო პატიმრობით შეეცვალათ.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ განზრახ მძიმე დანაშაულის ჩადენაში, ამასთან, არ გადაიხადეს სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაოს თანხა, მოსამართლეს მაინც შეეძლო, აღნიშნულ სხდომაზე უფრო დეტალურად გამოეკვლია ბრალდებულების ფინანსური მდგომარეობა, გადაუხდელობის მიზეზი, გაეთვალისწინებინა მათი თანამშრომლობა გამოძიებასთან, მათი წარსული (არც ერთი არ ყოფილა ნასამართლევი) და ის, რომ არც ერთ ეტაპზე მიმალვა არ უცდიათ.

სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო მიზანშეუწონელი და რა კონკრეტულ საფრთხეებს შეიცავდა მათი თავისუფლებაში დატოვება. მხოლოდ დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ბრალდებულებმა დაარღვიეს გირაოს თანხის შეტანის ვადა.

სსსკ-ზე დაყრდნობით, სასამართლოს შეეძლო, არ შეეცვალა აღკვეთის ღონისძიება ან დაემძიმებინა აღკვეთის ღონისძიების სახე იმგვარად, რომ არ გამოეყენებინა პატიმრობა. მაგალითად, გირაოსთან ერთად შეეფარდებინა სხვა დამატებითი ღონისძიებები, გაეზარდა გირაოს ოდენობა და გაეზარდა გირაოს შეტანის ვადა.

V. ალკვითის ღონისძიებები ნაჩოქიკედ ღანაშაურეზე

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულების თავში შევიდა ცვლილებები, რომლებიც განპირობებული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებით. არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი:

- სსკ-ის 260 (1) მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ნედლი მარიხუანის (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შექცენა/შენახვისთვის.²⁵
- სსკ-ის 260 (3) მუხლის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას (0,00009 გრამი) ნარკოტიკული საშუალება დემომორფინის დამზადება/შექცენა/შენახვისთვის.²⁶
- სსკ-ის 265 (2) მუხლით გათვალისწინებული ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კანაფის (მცენარე) (10 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით უკანონოდ დათესვისა ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.²⁷
- სსკ-ის 265 (2) მუხლით გათვალისწინებული ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კანაფის (მცენარე) (64 გრამამდე; 151 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით უკანონოდ დათესვისა ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.²⁸
- სსკ-ის 265 (3) მუხლით გათვალისწინებული ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კანაფის (მცენარე) (266 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით უკანონოდ დათესვისა ან მოყვანისთვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს თავისუფლებას აღკვეთას 6-დან 12 წლამდე.

საქართველოს პარლამენტმა, საკონსტიტუციო სასამართლოს

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება №3/1/855, 21.02.2017წ.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება №1/8/696, 20.07.2017წ.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725, 20.07.2017წ.

28 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725, 20.07.2017წ.

გადაწყვეტილებების საპასუხოდ, 2017 წლის 26 ივლისს შემოიღო სსკ-ის 273¹-ე მუხლი (*მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა, გასაღება ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება*), რომელიც არის სპეციალური ნორმა და ეხება მხოლოდ მცენარე კანაფს ან მარიხუანის. ეს მუხლი თავის თავში მოიცავს სსკ-ის 273-ე და სსკ-ის 260-ე მუხლებს მცენარე კანაფის/მარიხუანის ნაწილში და კანაფს/მარიხუანას შედარებით მსუბუქ რეგულაციას უწესებს, სხვა ნარკოტიკული საშუალებებისგან განსხვავებით.

2017 წლის 30 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება და მარიხუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არაკონსტიტუციურად მიიჩნია, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით.²⁹

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 30 ნოემბრისთვის უკვე არსებობდა სსკ-ის 273¹-ე მუხლი, რომელიც მარიხუანის მოხმარებას ექიმის დანიშნულების გარეშე მიიჩნევდა სისხლის სამართლის დანაშაულად. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსში ისევ რჩება ის შინაარსი, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია 273¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებასთან - „მარიხუანის მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე“ დაკავშირებული ჩანაწერის ამოღება კოდექსიდან, ვინაიდან ეს ნორმატიული შინაარსი უკვე არაკონსტიტუციურად არის ცნობილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადად წარმოაჩენს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული ნორმები არ არის სათანადოდ მონესრიგებული. სასჯელის ზომები ხშირად შეუსაბამოდ დიდია ქმედების ხარისხთან შედარებით და, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო სასამართლო, მიმართვის შემთხვევებში, სხვა ნორმატიულ შინაარსს/სასჯელის ზომასაც არაკონსტიტუციურად ცნობს.

2. სსკ-ის მოქალაქე მოქალაქე

საიას მონიტორები დაესწრნენ აღკვეთის ღონისძიების 97 სხდომას, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულებს შეეხებოდა. აქედან 31 (32%) სხდომა ეხებოდა სსკ-ის 273-ე ან 273¹-ე მუხლებით ინკრიმინირებულ ქმედებებს. ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებული აღკვეთის ღონისძიებები უფრო მეტად დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებულია, ვიდრე სხვა ტიპის დანაშაულის შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში სულ გამოვლინდა 92 (22%) დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება #1/13/732; 2017 წლის 30 ნოემბერი.

აღკვეთის ღონისძიების თაობაზე, აქედან 31 (33%) შემთხვევა ეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს. პროკურატურა, ძირითადად, შაბლონურად მიუთითებს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკზე, ასევე, კონკრეტული სისხლის სამართლის მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზომამზე და, აქედან გამომდინარე, აპელირებს შესაძლო მიმალვის საფრთხეზე.


აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ ნარკოტიკულ დანაშაულებზე-ზე³⁰ გამოყენებული გირაოს ოდენობები უფრო მეტია, ვიდრე სხვა ტიპის დანაშაულებზე. ამ საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე 2-ჯერ უფრო ხშირად ხდება ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენება, ვიდრე სხვა დანაშაულებზე.³¹ ასევე, პროკურორმა პატიმრობა მოითხოვა 31 შემთხვევაში, ხოლო სასამართლომ შუამდგომლობა დააკმაყოფილა 29 (94%) შემთხვევაში, მაშინ, როცა სხვა დანაშაულებზე სასამართლო 75% შემთხვევაში აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობებს.

სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შექმნა/შენახვა) ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში ბრალდებულების მიმართ პროკურატურა ყველა 14 შემთხვევაში ითხოვდა პატიმრობას, ერთნაირად აყალიბებდა შუამდგომლობას და საუბრობდა ბრალდებულის მხრიდან შესაძლო/სავარაუდო ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების მიზანზე. აღკვეთის ღონისძიების მხოლოდ ერთ სხდომამზე ისაუბრა პროკურორმა დასაბუთებულად, რომ შესაძლოა ბრალდებულს მართლაც გასაღების მიზნით ჰქონოდა ნარკოტიკული ნივთიერება.

30 ნარკოტიკულ დანაშაულზე გირაოს საშუალო ოდენობა არის 4700 ლარი, რაც 1455 ლარით აღემატება მთლიანად გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობას.

31 ნარკოტიკულ დანაშაულებზე გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენებული იყო შემთხვევათა 54%-ში, მაშინ როდესაც, მთლიანობაში, აღკვეთის ღონისძიებად ე.წ. საპატიმრო გირაოს გამოყენება მოხდა შემთხვევათა 26%-ში.


ქვემოთ იხილეთ დიაგრამები ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოყენებული ალკვეთის ღონისძიებების თაობაზე. დიაგრამები არ შეიცავს ინფორმაციას სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებთან მიმართებით გამოყენებული ალკვეთის ღონისძიებების რაოდენობის შესახებ.³²



32 სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით განსაზღვრული დანაშაულების დიდი ნაწილი სასჯელის ზომად თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს, შესაბამისად, ამ დანაშაულებისთვის ალკვეთის ღონისძიებად ვერ იქნებოდა გამოყენებული პატიმრობა.


**რეაგირება
N 15**

**გამოყენებული მიწათმოქმედების სახეები, ნარკოტიკული დანაშაულის
დროს (2017 წლის თებ. - 2018 წლის მაისი.)**



**რეაგირება
N 16**

**გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ნარკოტიკული
დანაშაულის დროს, ქალაქების მიხედვით
(2017 წლის თებ. - 2018 წლის მაისი.)**



სასამართლო, ძირითადად, აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობას ე.წ. საპატიმრო გირაოს თაობაზე. ხშირად არც პროკურორს ჰქონდა შესწავლილი და არც სასამართლო ითვალისწინებდა ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად გამოიყენა ე.წ. შეფარული პატიმრობა.

საილუსტრაციოდ იხილეთ ე.წ. შეფარული პატიმრობის მაგალითები:

» ბრალდებულს პროკურატურა ედავებოდა ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით შეძენა-შენახვას (სსკ-ის 260(3)ა). პროკურატურა ითხოვდა გირაოს 5000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით, თუმცა, არ ჰქონდა გამოვლენილი ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა. ადვოკატი აცხადებდა, რომ ბრალდებული იყო სოციალურად მონყვლადი, არ გააჩნდა ქონება და, შესაბამისად, ითხოვდა 2000 ლარიან გირაოს.

ამის მიუხედავად, მოსამართლემ ბრალდებულს დააკისრა გირაო 4000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით.

» პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვაში (სსკ-ის 260 (1)). ბრალდებული არ იყო სასამართლევითი. აღკვეთის ღონისძიებად პროკურორმა მოითხოვა გირაო 5000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული იყო უმუშევარი, ადვოკატი დაეთანხმა პროკურატურის წინადადებას გირაოს თაობაზე და თანხის შემცირება არ მოუთხოვია, მხოლოდ 50%-ის შეტანაზე დააყენა წინადადება.

მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა - 5000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

გაუგებარია, რატომ არ მოითხოვა ადვოკატმა თანხის შემცირება. ამასთან, მოსამართლესაც შეეძლო, საკუთარი ინიციატივით შეემცირებინა თანხის ოდენობა. ასევე გაუგებარია, რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენება.


» პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვაში (სსკ-ის 260(1)). პროკურორმა მოითხოვა 5000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, არ დაუსაბუთებია გირაოს ოდენობა, არც პატიმრობის უზრუნველყოფის აუცილებლობა. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ჰყავდა 80 წლის მოხუცი დედა, რომელსაც მარტო უვლიდა, სხვა მომვლელი მშობელს არ ჰყავდა.

მოსამართლემ განჩინებით აღკვეთის ღონისძიების სახედ შეუფარდა 3000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლები

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებამდე, საია დაესწრო აღკვეთის ღონისძიების 29 სხდომას აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ - მხოლოდ 2 სხდომას, რომლებიც ეხებოდა მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას, გასაღებას ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებას (სსკ-ის 273¹-ე მუხლი).

ქვემოთ იხილეთ სტატისტიკა სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



უმრავლეს შემთხვევაში პროკურორი ისე ითხოვდა გირაოს თანხას, რომ გამოკვლეული არ ჰქონდა ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა. სასამართლო, მართალია, იკვლევდა ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას, თუმცა, ძირითადად მაინც იყენებდა გირაოს და არა - უფრო ნაკლებად მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას, ბრალდებულის უსახსრობის მიუხედავად.

საილუსტრაციოდ იხილეთ:

ბრალდებულს პროკურატურა ედავებოდა ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით შექმნა/შენახვას (სსკ-ის 273-ე მუხლი), რაც არის ნაკლებად მძიმე დანაშაული და სასჯელის ზომად ითვალისწინებს არაუმეტეს ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას. პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების სახედ მოითხოვა გირაო 3000 ლარის ოდენობით. ბრალდებულმა განაცხადა, რომ გირაოს თანხას ვერ გადაიხდიდა, ვინაიდან იყო სოციალურად დაუცველი და არ ჰქონდა თანხა ან სხვა ქონება. ბრალდებულმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩენა.

მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოიყენა გირაო 1000 ლარის ოდენობით და არათუ არ დაასაბუთა მიღებული განჩინება, არამედ საერთოდ არ უმსჯელია, თუ რატომ იყო მიზანშეუწონელი ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ან/და აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება.

პროკურატურამ სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის 31-ვე შემთხვევაში მოითხოვა გირაო (მინ. 1000 ლარი - მაქს. 8000 ლარი). სასამართლომ მხოლოდ 4 შემთხვევაში არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა; 3 შემთხვევაში შეუფარდა შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და 1 შემთხვევაში არ გამოიყენა აღკვეთის ღონისძიება.

VI. ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება

1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

ოჯახური დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11¹ მუხლზე მითითებით.³³ სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა,

³³ ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 133¹-ე, 133²-ე, 137-ეგ 141-ე, 143-ე, 144-ეგ 144³-ე, 149-ეგ 151¹-ე, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე, 255-ე, 255¹-ე, 381¹-ე და 381²-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე, მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, იძლევა ოჯახში ძალადობის შემადგენლობას.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ქალზე ძალადობას, გამოძიება უნდა დაიწყოს იმ გადმოსახედიდან, ხომ არ მოხდა დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით.³⁴ დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენას პრევენციული დატვირთვაც აქვს და ხშირად დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის აუცილებელი წინაპირობაა. სსკ-ის 53¹-ე მუხლი ავალდებულებს სასამართლოს, სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინოს დანაშაულის ჩადენის მოტივი და მიზანი.

იმავდროულად, საქმეში არსებული ძირითადი მოტივის არსებობა, თუნდაც ეს იყოს დაკავშირებული სხვა შინაარსის პირად კონფლიქტთან, არ არის საკმარისი საფუძველი დამატებით სხვა მოტივის არსებობაზე ეჭვის გასაქარწყლებლად. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს შერეული მოტივის გამოკვეთას, რათა არ გამოირიცხოს საქმეში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევის შესაძლებლობა.


2. სსკ-ის ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ამ საანგარიშო პერიოდში პროკურორები/მოსამართლეები უფრო ნათლად აფასებდნენ მოსალოდნელ საფრთხეებს და მოსამართლეები იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართული იყო დაზარალებული პირების დაცვისკენ.

მიუხედავად ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც სასამართლომ არ გამოიჩინა საკმარისი მგრძობელობა დაზარალებულის მიმართ და რისკები სათანადოდ არ შეაფასა.

34 გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში UN Doc. A/HRC/23/49 (14 მაისი, 2013 წელი), §73; ასევე, IACtHR, Case of Gonzalez et al. (“Cotton Field”) v. Mexico, 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილება, §455; იხ: დეკანოსიძე, თ. ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 18-19. ასევე, იხ: ვეროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, 11.05.2011, სტამბოლი, მუხლი: 3 (ა); იხ: დეკანოსიძე, თ. ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახში ძალადობის (სსკ-ის მე-11¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედებები) შემთხვევებში.



საიას მონიტორები სასამართლოებში დაესწრნენ აღკვეთის ღონისძიების 71 სხდომას, რომლებიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას. 71-ვე შემთხვევაში დაზარალებული იყო ქალი, 60 შემთხვევაში - მეუღლე/ყოფილი მეუღლე; 5 შემთხვევაში - არასრულწლოვანი შვილი; 3 შემთხვევაში - დედა; 2 შემთხვევაში - ბებია; 1 შემთხვევაში - რძალი. ბრალდებულთაგან 70 (99%) იყო კაცი.

პროკურატურამ ასეთი ტიპის დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა საქმეების 79%-ში. სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა შემთხვევათა 57%-ში. აღსანიშნავია, რომ პროკურატურა სხვა ტიპის დანაშაულებზე,

აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენებას ითხოვს 45% შემთხვევაში, ხოლო სასამართლო პროკურორის შუამდგომლობას აკმაყოფილებს 75% შემთხვევაში. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პროკურატურა მეტი გულისყურით ეკიდება ამ ტიპის დანაშაულებს და უფრო მეტად ითხოვს პატიმრობას, სასამართლო კი საპირისპიროდ მოქმედებს და უფრო მეტად არ აკმაყოფილებს პროკურატურის შუამდგომლობას, ვიდრე სხვა ტიპის დანაშაულებზე.

დაფიქსირდა არაერთი შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე წარმოადგინა ნოტარიულად დამოწმებული წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დაზარალებულს (მეუღლეს) არ ჰქონდა პრეტენზია მისი მეუღლის მიმართ. სულ გამოვლინდა 9 (13%) მსგავსი შემთხვევა. ასეთი ფაქტები ყურადსაღებია და აუცილებელია, სასამართლომ გამოარკვიოს, ხომ არ მოხდა წერილის დანერგა დაზარალებულზე ზეწოლის შედეგად. საიას დაკვირვებამ აჩვენა, რომ ასეთ შემთხვევებში სასამართლო არ არკვევდა განიცადა თუ არა დაზარალებულმა ზეწოლა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, სადაც დაზარალებულმა განაცხადა, რომ აღარ ჰქონდა პრეტენზია ბრალდებულის მიმართ, თუმცა, მისი ნების ნამდვილობა კითხვის ნიშნებს აჩენდა.

ბრალდებულმა მეუღლეს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა (სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). სხდომაზე შემოიტანეს დაზარალებულის განცხადება, რომ მას აღარ ჰქონდა პრეტენზია და ითხოვდა პატიმრობიდან მეუღლის გათავისუფლებას.

სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახედ განსაზღვრა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. მოსამართლემ გირაოს დასაბუთებისას განმარტა, რომ ასეთი გადანყვეტილება მეუღლის განცხადების გამო მიიღო, თორემ სხვა შემთხვევაში პატიმრობას გამოიყენებდა.

საიას მონიტორი სხდომის დატოვებისას შეესწრო ფაქტს, როდესაც მეუღლე სხდომაზე დამსწრე მეზობლებს ტირილით მიმართავდა: “ახლა რომ მოხვედით, მაშინ სად იყავით, როცა მკლავდა“.

სასამართლოს მიერ შეფარდებული გირაოს 36 შემთხვევიდან 16 (44%) იყო დაუსაბუთებლად ლმობიერი ღონისძიება, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ბრალდებულის ქცევას, დაზარალებულის უსაფრთხოებასა და დანაშაულის განმეორების პრევენციას.³⁵ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დასაბუთების პროცენტული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ - 3 ერთეულით

35 მაგალითად, ძალადობის პრეისტორია, საქმეში არსებული შემაკავებელი ორდერები, მსხვერპლისა და სავარაუდო მოძალადის ერთობლივი თანაცხოვრების ფაქტი შეიცავს იმ რისკებს, რომლებიც პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობას განსაზღვრავს.

გაუმჯობესდა.³⁶

საილუსტრაციოდ იხილეთ შემთხვევები, როდესაც პროკურორი ან სასამართლო ითხოვდა/იყენებდა ზედმეტად ღმობიერ აღკვეთის ღონისძიებას:

» ბრალდებულებს (მამა-შვილს) ბრალი ედებოდათ ჯგუფურად ჩადენილ ოჯახურ ძალადობაში (სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის “დ” ქვეპუნქტი). კერძოდ: მამამთილმა ხელი გაართყა თავის რძალს, ხოლო მისმა შვილმა ანთებული სიგარეტი დააწვა თავლის არეში თავის მეუღლეს და ყელში ხელი მოუჭირა. პროკურორმა აღნიშნა, რომ დანიშნულია ექსპერტიზა და დგინდება დაზიანებების ხარისხი. პროკურატურამ დამატარებლად და არგუმენტირებულად დაასაბუთა პატიმრობის აუცილებლობა.

სასამართლომ ბრალდებულებს შეუფარდა გირაო 1000-1000 ლარის ოდენობით და ორივეს გადახდის ვადად განუსაზღვრა 20 დღე. ამასთან, მათ აკრძალათ დაზარალებულთან მიახლოება.

გარდა იმისა, რომ ამ შემთხვევაში გირაო ზედმეტად ღმობიერ ღონისძიებას წარმოადგენდა, ბრალდებულები და დაზარალებული ცხოვრობდნენ ერთად და სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულება დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვასთან დაკავშირებით გაჭირდებოდა. ასევე, არსებობდა დაზარალებულის მიმართ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გაგრძელების საფრთხე და იმის რისკი, რომ ბრალდებულები დაზარალებულზე ზემოქმედებას მოახდენდნენ.

» პირს ბრალი ედებოდა ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობაში, რომელიც ჩადენილი იყო არასრულწლოვნის თანდასწრებით (სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ბ” ქვეპუნქტი). ბრალდებული მივიდა დაზარალებულის საცხოვრებელი სახლის ეზოში და, ეჭვიანობის ნიადაგზე, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს მიაყენა დაზიანებები (თავის არეში ხელის დარტყმით, თმების მოქაჩვით, ხელის კვრით და ჭიშკარზე მიჯახებით). აღკვეთის ღონისძიებად პროკურორმა მოითხოვა გირაო 5000 ლარის ოდენობით, პატიმრობის უზრუნველყოფით, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

გაუგებარია, რატომ არ მოითხოვა პროკურორმა პატიმრობა. ამასთან, მოსამართლეს არ დაუსაბუთებია გირაოს თანხის ოდენობა. სხდომაზე არ უმსჯელიათ ბრალდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე.

36 წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ გირაოს შეფარდების 17 შემთხვევიდან 8 (47%) იყო დაუსაბუთებლად ღმობიერი ღონისძიება.

» ბრალდებული ნასამართლვე იყო 2015 წელს ოჯახში ძალადობის მუხლით (სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). დაზარალებულს წარმოადგენდა მისი მეუღლე. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ყოფილ მეუღლეს. იგი აღიარებდა დანაშაულს და გირაოს გამოყენებას ითხოვდა. პროკურორმა დააყენა პატიმრობის შუამდგომლობა და მისი საჭიროება დაასაბუთა ახალი დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკით.

მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახედ განსაზღვრა 3000 ლარიანი გირაო, ამასთან, არ გამოურკვევია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

პროცესი გრძელდებოდა მხოლოდ 15 წუთი. ბრალდებული წარდგა დაკავებულის სახით. მოსამართლემ მას არასრულად განუმარტა უფლებები, არ უმსჯელია დაკავების კანონიერებაზე, არ დაუსაბუთებია აღკვეთის ღონისძიებად გირაოს შეფარდების მოტივი, კერძოდ, რამდენად შეძლებდა ახალი დანაშაულის ჩადენის რისკის შემცირებას გირაოს გამოყენება, გარდა ამისა, არ შეუფასებია ასევე ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა.

» პირს ბრალად ედებოდა მექარა ოჯახის წევრის მიმართ (სსკ-ის მე-11¹ მუხლი, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კერძოდ, ყოფილ მეუღლეს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, უგზავნიდა მექარის შემცველ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს და პირადადაც დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. პროკურორმა მოითხოვა გირაო 3000 ლარის ოდენობით, რაც სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბრალდებულს 2000 ლარიანი გირაო შეუფარდა.

გაუგებარია, რატომ არ მოითხოვა პროკურორმა დამატებითი აღკვეთის ღონისძიების სახე - დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა. პროკურორის მხრიდან არ მოხდა შესაფერისი რეაგირება, არ იყო სათანადოდ გაანალიზებული მოსალოდნელი საფრთხეები, რაც დაზარალებულს არა მხოლოდ უფრო მოწყვლადს ხდის, არამედ, შესაძლოა, მასა და სხვა დაზარალებულებში პროკურატურის მიმართ უნდობლობაც გამოიწვიოს.

71 სასამართლო სხდომიდან 8 (11%) შემთხვევაში პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობით დაგვიანებით მიმართა - ოჯახში ძალადობის ფაქტის მომენტიდან მინიმუმ 1 თვის და მაქსიმუმ 2 წლის შემდეგ. 8-დან 5 შემთხვევაში სხდომაზე არ იკვეთებოდა, რა მიზეზით არ ჩატარდა დროულად ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა. შესაძლებელია მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა - ან დაზარალებულებმა მიმართეს პროკურატურას დაგვიანებით ან პროკურატურამ გააჭიანურა საქმის შესწავლა.

საგანგაშო იყო 3 შემთხვევა, სადაც პირდაპირ იკვეთებოდა, რომ სახელმწიფო ორგანოებმა არ იმოქმედეს დროულად და პროკურორმა შემთხვევიდან რამდენიმე თვის შემდეგ მიმართა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების თაობაზე.

საილუსტრაციოდ იხილეთ:

» საქმე ეხებოდა 2016 წლის ფაქტებს, როდესაც ბრალდებულმა იძალადა საკუთარ მეუღლეზე, ხოლო პროკურატურამ აღკვეთის ღონისძიების თაობაზე სასამართლოს მხოლოდ 2018 წელს მიმართა. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის ან მოწმეზე ზემოქმედების საფრთხე, რადგან შემთხვევიდან გასული იყო 2 წელი, ხოლო პროკურორს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც ამ პერიოდში ბრალდებულის მხრიდან რაიმე კანონდარღვევას დაადასტურებდა. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა და ბრალდებულს არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება.

» პირს ბრალი ედებოდა ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების მიყენებაში (სსკ-ის მე-111 და 120-ე მუხლები). არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ხელის და ფეხების დარტყმით ბრალდებულმა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირს მიაყენა მსუბუქი დაზიანება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. პროკურორმა მიუთითა, რომ დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, გამოყენებული უნდა ყოფილიყო პატიმრობა.

ადვოკატმა განაცხადა, რომ პროკურორის შუამდგომლობა არ იყო დასაბუთებული არც მიმალვის და არც ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის ნაწილში. აღკვეთის ღონისძიების თაობაზე შუამდგომლობა დაყენებულ იქნა შემთხვევიდან 7 თვის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ბრალდებული დაზარალებულთან ერთად ცხოვრობდა და სამართალდამცავ ორგანოში რაიმე სახის შეტყობინება ამ ოჯახიდან აღარ შესულა. ბრალდებული სხდომაზე თავისი ნებით გამოცხადდა. გამოუცხადებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა არც გამოძიების ეტაპზე. დაზარალებული და ბრალდებული უკვე რეგისტრირებულ ქორწინებაში არიან.

ადვოკატის განცხადებით, ის საფრთხეები, რომლებიც შესაძლოა არსებობდა 7 თვის წინ, ანუ იმ დროს, როცა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი, ამჟამად განეიტრალებულია და აღარ არსებობს პატიმრობის გამოყენების საჭიროება. შესაბამისად, ბრალდების მხარის შუამდგომლობა იყო დაგვიანებული, დაუსაბუთებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებული.

მოსამართლემ გამოიყენა გირაო 1500 ლარის ოდენობით (შეტანის ვადა 40 დღე). ბრალდებულს დამატებითი ღონისძიების სახით დაეკისრა 10 დღეში ერთხელ გამომძიებელთან გამოცხადების ვალდებულება და აკვრძალა დაზარალებულთან ურთიერთობა.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის/დაზარალებულისთვის წარმოუდგენლად რთულია ძალადობის ფაქტის გასაჯაროება და სამართალდამცავი პირებისთვის მიმართვა. ეს დაკავშირებულია დაუცველობის განცდასთან, მის მიმართ ძალადობის გახშირების, პატრიარქალური საზოგადოების მხრიდან გაკიცხვის შიშთან და მრავალ სხვა ასპექტთან. შესაბამისად, როდესაც მსხვერპლი საჩივრით მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს ან პროკურატურას, უნდა მოხდეს დაუყოვნებლივი რეაგირება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, რათა დაცული იყოს მსხვერპლის უსაფრთხოება. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ეს უფლება გარანტირებულია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტით³⁷ და 50-ე მუხლის 1-ლი პუნქტით.³⁸ პროკურატურა ვალდებულია, ასეთ შემთხვევებში იმოქმედოს ძალიან სწრაფად და ეფექტიანად, რათა მსხვერპლ ქალებს არ გაუჩნდეთ განცდა, რომ სახელმწიფო მათზე არ ზრუნავს და ისინი მართო არიან ძალადობის წინაშე.

3. **სწრაფი რეაგირება ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მიხედვით**


უნდა აღინიშნოს, რომ გორის, თელავის და თბილისის მოსამართლეები უმეტესწილად ნათლად აფასებდნენ მოსალოდნელ საფრთხეებს და იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართული იყო დაზარალებული პირების დაცვისკენ. განსხვავებულ მიდგომას ვხვდებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, რაც საგანგაშო და შემამფოთებელ მდგომარეობაზე მიუთითებს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია პატიმრობა და ბრალდებულებს მხოლოდ გირაოს ან სხვა ნაკლებად მკაცრ ღონისძიებებს უფარდებდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული გირაო ოჯახურ დანაშაულებზე 23 საქმიდან 16 (70%) შემთხვევაში იყო დაუსაბუთებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახურ დანაშაულებზე გირაო 2-ჯერ უფრო მეტად დაუსაბუთებელია ვიდრე

37 მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას მსხვერპლების დასაცავად ძალადობის შემდგომი აქტებისგან.

38 მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პასუხისმგებელი სამართალდამცავი უწყებები სწრაფ და სათანადო რეაგირებას მოახდენენ ამ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობაზე მსხვერპლისთვის ადეკვატური და დაუყოვნებლივი დაცვის შეთავაზების გზით.

სხვა სახის დანაშაულებზე გამოყენებული გირაო (88 საქმიდან 29 (33%). კერძოდ, 12 (52%) შემთხვევაში გირაო იყო დაუსაბუთებლად ღმობიერი ღონისძიება, ხოლო 4 (11%) შემთხვევაში გირაოს თანხის ოდენობა შეუსაბამოდ აღემატებოდა ბრალდებულის მატერიალურ შესაძლებლობებს. ბათუმის საქალაქო სასამართლოში გამოვლინდა მხოლოდ 4 საქმე, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას, შესაბამისად, მხოლოდ 4 საქმის საფუძველზე შეუძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებების (პრაქტიკის) ანალიზი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახში ძალადობის (სსკ-ის მე-11¹ მუხლით გათვალისწინებული ქმედებები) შემთხვევებში, ქალაქების მიხედვით, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



VII. სავაიხაო ანასათანაო მოპყრობის ფაქტუაი სამართალდასაპი ორგანოების მხრიან

1. კანონმდებლის მოქალ მიმოხილვა

ნამება და არაჰუმანური მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით,³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით⁴⁰ და ეროვნული კანონმდებლობით.⁴¹ აღნიშნული აკრძალვები უზრუნველყოფს ინდივიდის დაცვას წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან. ამ უფლების სათანადოდ დაცვისთვის, მნიშვნელოვანია, პირმა იცოდეს თავისი უფლებები. სასამართლო სხდომებზე მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს, რომ მის მიმართ წამების ან არაჰუმანური მოპყრობის შემთხვევაში აქვს საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლება. იმავდროულად, მოსამართლე არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა ბრალდებულს მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.⁴² ეს ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა პირი არის დაკავებული ან ჰატიმრობაში და, შესაბამისად, სახელმწიფოს სრული ფიზიკური კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამდენად, აუცილებელია, მოსამართლე, როგორც ნეიტრალური ზედამხედველი, დაეხმაროს ბრალდებულს, რომ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სწორად წარმართოს შესაბამისი პროცედურები. კანონმდებლობით, მოსამართლეს მხოლოდ ეს შესაძლებლობა აქვს და მას არ გააჩნია ასეთ ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების დამატებითი ბერკეტები.

გარდა ამისა, როდესაც, სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარისთვის ცნობილი ხდება, რომ შესაძლოა ბრალდებული ან სხვა პირი არის წამების/არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, იგი ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება.⁴³

2. სასამართლო სხდომების ანალიზი

საიამ მონიტორინგის შედეგად კვლავ გამოავლინა საკანონმდებლო ხარვეში მოსამართლის არასაკმარის როლთან დაკავშირებით სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ

39 საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი.

40 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

41 სსკ-ის 144¹-ე მუხლი; 144²-ე; 144³-ე.

42 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 197-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის „გ“ და „მ“ ქვეპუნქტები.

43 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-100 და 101-ე მუხლები.

განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შესახებ და მოისმინოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტები. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლითაც მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება, გაატაროს ქმედითი ზომები, როდესაც სახეზეა სავარაუდო წამების ან არაჰუმანური მოპყრობის ნიშნები. მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰკითხოს ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას, რაც არ არის საკმარისი და ეფექტიანი მექანიზმი ასეთ ფაქტებზე ადეკვატური რეაგირებისთვის.

სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულები ან პროცესის მონაწილეები საუბრობდნენ, რომ იყვნენ წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლები სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან, თუმცა, ზოგჯერ მოსამართლეებისა და პროკურორების რეაგირება არ იყო ადეკვატური. პირველი წარდგენის სხდომაზე ასეთი 11 შემთხვევა დაფიქსირდა, წინასასამართლო სხდომაზე - 4, ხოლო არსებითი განხილვის სხდომაზე - 5.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითები, რომლებიც აღწერს როგორც ბრალდებულთა მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მაგალითებს, ისე სასამართლოს ფორმალურ, არასაკმარის როლს ასეთ ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით:

» მოსამართლის კითხვაზე - პოლიციელების ან სხვა თანამდებობის პირთა მხრიდან ხომ არ ჰქონია ადგილი არაადამიანურ მოპყრობას, ცემას ან წამებას, ბრალდებულმა უპასუხა, რომ ჰქონდა ადგილი ასეთ მოპყრობას. მოსამართლემ სთხოვა ბრალდებულს, მიეწოდებინა ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით, თუმცა, სანამ ბრალდებული აღნიშნულზე საუბარს დაიწყებდა, მოსამართლემ განუმარტა, რომ მას შეეძლო ეს ინფორმაცია მიეწოდებინა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატისთვის, რომელიც მიიღებდა შესაბამის ზომებს და საჩივრით მიმართავდა საგამოძიებო ორგანოებს. ბრალდებულმა ამ დროს იკითხა - "ჩემი განმარტება ახლა საჭირო აღარ არის?" რაზეც მოსამართლემ უპასუხა, რომ მას უფლება აქვს, ამასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთოს, თუმცა, მან ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიანოდოს თავისი ინტერესების დამცველს, რომელიც ოფიციალური განცხადებით მიმართავს შესაბამის საგამოძიებო უწყებებს და რომ სასამართლო არ წარმოადგენს საგამოძიებო ორგანოს, შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით ზომებს ვერ მიიღებს.

საბოლოოდ, ბრალდებულმა ბოლომდე არ განმარტა კონკრეტული გარემოებები, თუმცა, მოსამართლემ მაინც მიუთითა პროკურორს, რომ შესაბამისი ღონისძიებები გაეტარებინა.

» ბრალდებულმა განაცხადა, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს ალკოჰოლურ ტესტზე შესამოწმებლად. ხელზე ედო ხელბორკილები. შემოწმებისას ხელბორკილი ვერ ახსნეს ერთ ხელზე. ბრალდებულის განცხადებით, მივიდა ერთი პოლიციელი და ეცადა, მოეხსნა, თან აგინებდა, ეუბნებოდა, რომ მოიტანდა ე.წ. „ბარგალკას“ და მოახერხავდა ხელს. მოსამართლემ განუმარტა ბრალდებულს, რომ უფლება აქვს, ამაზე დაწეროს საჩივარი, ასევე მოუწოდა პროკურორს, აღნიშნული საკითხი გამოეძიებინა.

მიხეილ მგალობლიშვილის და გიორგი ქებურიას „ბირჟა მაფიის“ საქმე:

საიას მონიტორები დაესწრნენ მიხეილ მგალობლიშვილის აღკვეთის ღონისძიების სხდომას პირველ ინსტანციაში, ასევე ორივე მათგანის სასამართლო პროცესს სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

მიხეილ მგალობლიშვილი და გიორგი ქებურია არიან მუსიკოსები, რეჟერები და აქვთ პროექტი „ბირჟა მაფია“, რომლის ფარგლებშიც აშარუბენ სხვადასხვა პროფესიას.

თავიანთ ბოლო ვიდეოკლიპში, რომელიც გამოვიდა 2017 წლის 5 ივნისს, გაშარუებული იყო პოლიციელი. ვიდეოკლიპში მონაწილე ორივე მუსიკოსი 2017 წლის 8 ივნისს დააკავეს - კლიპის გამოსვლიდან მესამე დღეს. ბრალდებულების სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა გაიმართა 9 ივნისს. ორივე მათგანს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260 (6) მუხლით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში, კერძოდ, მიხეილ მგალობლიშვილს - ნარკოტიკული საშუალება 1.49 გრამი „მდმა“-სა და გიორგი ქებურიას - ნარკოტიკული საშუალება 2.33 გრამი „მდმა“-ს შეძენა-შენახვაში. ორივე მათგანი აღნიშნავდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება სამართალდამცავებმა ჩაუდეს და, ამასთან, ადგილი ჰქონდა მათ მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მიხეილ მგალობლიშვილის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ის არის ერთ-ერთი კლიპის ავტორი და მონაწილე, სადაც გაშარუებულნი არიან პოლიციელები და ძველი ბიჭები და, როგორც მისთვის ცნობილია, სწორედ ეს კლიპი გახდა პოლიციის მხრიდან მისთვის ნარკოტიკის ჩადების საფუძველი. ბრალდებულის თქმით, ის დააკავეს და მანქანაში ჩასვეს, არ მომხდარა უფლებების განმარტება, მხოლოდ მისთვის უცნობ საბუთზე მოაწერინეს ხელი, დეტექტივმა კი თავში ხელი ჩაარტყა. ბრალდებულმა ასევე განაცხადა, რომ იყო სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებიც.

მოსამართლემ ბრალდების მხარეს აღნიშნულ ფაქტზე რეაგირებისკენ მოუწოდა და ბრალდებულს ჰკითხა, თუ შეძლებდა იმ პირთა ამოცნობას, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს. ბრალდებულმა განაცხადა, რომ შეძლებდა მათ ამოცნობას. პროკურორის თქმით, ბრალდებულს დაკავებისას განემართა უფლებები და ხელიც აქვს მოწერილი, თუმცა, მისი განცხადებიდან გამომდინარე, მომავალში უნდა გატარებულიყო შესაბამისი ღონისძიებები.

სააპელაციო სასამართლოში ორივე ბრალდებული საუბრობდა დაკავების დროს სამართალდამცავთა მხრიდან ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ზეწოლაზე. 2017 წლის 18 დეკემბერს პროკურატურამ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა ორივე პირის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ გამოძიება, რომელიც დაიწყო სამართალდამცავების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებისა და მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის თაობაზე, არ დასრულებულა და არ დამდგარა შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁴⁴

VIII. დავაების კანონიერებაზე სასამართლო კონსტრუქციის განხორციელება

1. კანონმდებლის მოქალაქე მიმოიღვა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაკავების ორ წესს იცნობს: პირის დაკავებას მოსამართლის წინასწარი ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში. პირის დაკავების თაობაზე წინასწარი ნებართვის მისაღებად პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს შესაბამის განჩინებას აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁴⁵ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის დაკავების კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, პირის დაკავება ხდება მოსამართლის ნებართვის გარეშე და პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლო ამონმებს როგორც დაკავების კანონიერებას, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობას.⁴⁶

44 <http://imtavroba.ge/new/7470-prokurataram-birzha-mafias-tsevrebis-dakavebis-gamo-policiebis-tsinaaghmdag-gamodzieba-daitsyo>

45 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

46 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების გასაჩივრების რაიმე სპეციალურ მექანიზმს, ამიტომ პირველი წარდგენის სხდომის ერთ-ერთი დანიშნულებაა სასამართლოს მიერ დაკავების კანონიერების შემოწმება. აღნიშნული ვალდებულება მოსამართლეს გააჩნია იმის მიუხედავად, მხარე სადავოდ ხდის თუ არა ამ საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე შემოწმდეს როგორც მოსამართლის წინასწარი ნებართვით, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით განხორციელებული დაკავება. ეს სამართლებრივი მექანიზმი ემსახურება სამართალდამცავი უწყებების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.⁴⁷ თუ დავუშვებთ, რომ მოსამართლემ დაკავების განჩინება არასწორად გასცა, ხოლო პირველი წარდგენის სხდომაზე არ მოხდება მისი განხილვა, შესაძლოა, ასეთი დაკავების გამო, პირის მიმართ უფრო შემზღვეველი ღონისძიებები იყოს გამოყენებული.⁴⁸

საიამ პირველი წარდგენის სხდომებზე დაკვირვების შედეგად გამოავლინა დაკავებული პირების უფლებების დაცვის კუთხით არსებული საკანონმდებლო ხარვეზები. ვერძოდ, დაკავების კანონიერების განხილვისას მოსამართლის როლსა და შესაძლებლობებზე კანონი ნათლად არ უთითებს.

2. სასამართლო სხდომების ანალიზი

სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას და, ძირითადად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტით შემოიფარგლებიან.

სასამართლოების ასეთი მიდგომა სამართალდამცავების მხრიდან აშკარა თვითნებობის რისკს წარმოშობს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, ვიდრე ბრალდებული პირველად წარედგინება სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს პირის დაკავების კანონიერების შეფასების სხვა მექანიზმს.⁴⁹

მოსამართლის მხრიდან დაკავების კანონიერების შეფასება ასევე მნიშვნელოვანია დაკავებული პირის მიერ, უკანონო ან/და დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სათანადოდ განხორციელებაში.⁵⁰ თუმცა, ეს უფლება, დაკავების აუცილებლობასა და

47 ნიპარიშვილი ბ. პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, 2016, #2, 53.

48 მაგალითად, პირის დაკავება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მის მიმართ გამოყენებული იყოს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

49 ბოხაშვილი, ბ. მშენიერაძე, გ. ყანდაშვილი, ი. ეჭვიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 19.

50 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 176-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

კანონიერებაზე რეალური სასამართლო კონტროლის განხორციელების გარეშე, პრაქტიკულად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

კანონმდებლობაში არ არის მკაფიო და ცალსახა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლის ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების კანონიერების საკითხი შემდგომ განხილვას უნდა საჭიროებდეს.

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პირველი წარდგენის სხდომაზე 402 ბრალდებულიდან 218 (54%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით. ვინაიდან უმრავლეს - 175 (80%) შემთხვევაში სასამართლომ სხდომაზე არ განიხილა დაკავების კანონიერება და მხარეებსაც არ უხსენებიათ აღნიშნული საკითხი, საიასთვის უცნობი დარჩა, რა წესის გამოყენებით მოხდა პირის დაკავება - მოსამართლის წინასწარი ნებართვით თუ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით.⁵¹

დანარჩენი 44 (20%) შემთხვევიდან 4 (9%) შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე, თუმცა, არცერთ საქმეზე პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავების კანონიერების განხილვა და შეფასება არ მომხდარა. დანარჩენ 40 (91%) შემთხვევაში კი, პირი დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით.⁵² გადაუდებელი აუცილებლობის 40 შემთხვევიდან მხოლოდ 2 შემთხვევაში იმსჯელა მოსამართლემ დაკავების კანონიერებაზე, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსამართლე ძალიან იშვიათად განიხილავს ამ საკითხს სასამართლო სხდომაზე და როდესაც განიხილავს, აღნიშნული მსჯელობაც უფრო მეტად ფორმალური ხასიათისაა.

ქვემოთ მოცემული მაგალითი აჩვენებს, რომ, თუ სახეზეა სასამართლოს განჩინება და კანონიერად არის ცნობილი გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული დაკავება, სასამართლო ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ბოლომდე არ ეძიება აღნიშნულ საკითხს. დაცვის მხარეს არ აქვს საკმარისი სამართლებრივი ბერკეტი, ამტკიცოს თავისი სიმართლე.

51 წინა საანგარიშო პერიოდში 290 ბრალდებულიდან 140 (48%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით. 116 (83%) შემთხვევაში სასამართლომ არ განიხილა დაკავების კანონიერება და მხარეებსაც არ უხსენებიათ აღნიშნული საკითხი სასამართლო სხდომაზე.

52 წინა საანგარიშო პერიოდში 4 (17%) შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების შესახებ. ხოლო დანარჩენ 20 (83%) შემთხვევაში პირი დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით.

ბრალდებული გადაუდებელი აუცილებლობით დააკავეს. პროცესზე დაცვის მხარემ განაცხადა, რომ ბრალდებულის დაკავებისას არ მომხდარა უფლებების განმარტება, არ მიეცა საშუალება, ჰყოლოდა ადვოკატი და მხოლოდ ერთი საათის შემდეგ ზეპირად განუცხადეს, თუ რაში ედებოდა ბრალი.

მოსამართლემ კითხვები დაუსვა ბრალდებულს, რომლის განცხადებით, დაკავების ოქმზე იმიტომ არ იყო მისი ხელმოწერა, რომ ეს ოქმი თვალითაც არ უნახავს. საბოლოოდ, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტაცია და ადვოკატის შუამდგომლობა ბრალდებულის დაუყოვნებლივ გათავისუფლებასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ მის მიმართ დაირღვა სსსკ-ის 171-ე, 174-ე მუხლები.

მოსამართლემ აღნიშნა: „ვერ გავიზიარებ დაცვის მხარის აპელირებას, რადგან სასამართლო დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ხელმძღვანელობს. რაც შეეხება დარღვევებს, დღევანდელი მდგომარეობით ვერ გავიზიარებ, რადგან მიღებულია სასამართლოს განჩინება და საგამოძიებო მოქმედება კანონიერადაა ცნობილი. საპროცესო ნორმების სრული დაცვით არის შედგენილი საგამოძიებო მოქმედების ოქმი, ორივე ოქმზე არის გამომძიებლის შენიშვნა. სანამ საპირისპირო არ დადასტურდება, მანამდე მხოლოდ ზეპირი განცხადების საფუძველად დადება მიზანშეუწონლად მიმაჩნია.“

ამდენად, ხშირი უარყოფითი პრაქტიკა მიანიშნებს, რომ სახელმწიფო, გაუმართავი კანონმდებლობის გამო, არ არის ეფექტიანი დაკავებული პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

IX. საპროცესო ნორმების დარღვევა საპროცესო უთანხმოებასთან დაკავშირებით

1. კანონმდებლის მოქალაქე მოქალაქე

საპროცესო უთანხმოება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებასა ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი,


ამასთან, თუ ბრალდებულისგან კანონით გათვალისწინებულ გარემოებებთან დაკავშირებით დამარწმუნებელ პასუხებს მიიღებს და, თუკი პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა, თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების მიხედვით, შესაძლებელია აღნიშნული კრიტერიუმის დასაბუთება. მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იყო ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მას შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს, სხდომის მიმდინარეობისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

1.1. მონიტორინგის შაქვები

საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ 303 სხდომას, რომლებიც საპროცესო შეთანხმებას შეეხებოდა. აღნიშნული 303 სხდომიდან სასამართლომ არ დაამტკიცა 5 (2%) საპროცესო შეთანხმება. 298 საპროცესო შეთანხმებიდან ყველაზე მეტი, 91 საქმე, შეეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს, ხოლო 84 საქმე - საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს (აქედან 77 იყო ქურდობის შემთხვევა).

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია დანაშაულები, რომლებზეც გაფორმდა საპროცესო შეთანხმებები, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



2. სასამართლო სფეროების ანალიზი

2.1. კანონით გათვალისწინებული უფლებების განმარტება, პროცესის ხანგრძლივობა

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს კანონით გათვალისწინებული უფლებები, კერძოდ, ყველა ის უფლება, რომელიც მოცემულია სსსკ-ის 212-ე მუხლში. აღნიშნული უნდა განხორციელდეს არატექნიკური, ბრალდებულისთვის გასაგები ენით. უფლებების განმარტებისა და მოსამართლის შევითხვებზე დამატებული პასუხების გაცემის აუცილებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ

მოსამართლეს შეუძლია, უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუ კანონით გათვალისწინებულ გარემოებებზე ბრალდებულისგან დამარწმუნებელ პასუხებს ვერ მიიღებს.


მონიტორინგის შედეგები

წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, მოსამართლეების მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრულყოფილად განმარტების კუთხით მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. კერძოდ, 60 (20%) შემთხვევაში მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულებისთვის, რომ, თუ სასამართლო არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებული იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას მიაწოდებს. წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 16%-ს შეადგენდა. აგრეთვე, 44 (14%) შემთხვევაში მოსამართლემ არ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული უფლების განმარტება მხოლოდ შემთხვევათა 5%-ში არ მომხდარა.

ორ შემთხვევაში ბრალდებულებს ბრალი ედებოდათ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მოსამართლემ განმარტებისას დაუშვა შეცდომა. კერძოდ, იმ დროს არსებული რედაქციით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 22 დეკემბრის #1/16/770 განჩინებით, მარიხუანის მოწვევისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გაუქმებული იყო, მოსამართლემ კი, მუხლის განმარტებისას ბრალდებულს მოსალოდნელ სასჯელად ამცნო ვადიანი თავისუფლების აღკვეთის საფრთხეც.

აუცილებელია, სასამართლომ სრულყოფილად გააცნოს ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უფლებები, ვინაიდან სწორედ აღნიშნულია იმის საფუძველი, რომ სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომელიც ბრალდებულის ნებასაც ასახავს. ყურადსაღებია, რომ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული სხდომების საშუალო ხანგრძლივობაა 5-15 ან 5-30 წუთი (სხდომების 89%).

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, რომელზეც ასახულია საპროცესო შეთანხმების შესახებ სხდომების ხანგრძლივობა, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



5-15 წთ-მდე დროში შეუძლებელია, სასამართლომ სსსკ-ის XXI თავში მოცემული უფლებები ბრალდებულს სრულყოფილად განუმარტოს, დარწმუნდეს, რომ ბრალდებული თანახმაა საპროცესო შეთანხმებაზე, განიხილოს, რამდენად თანაზომიერია საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა/ფორმა და სწორედ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლეები ხშირ შემთხვევაში ფორმალურად განმარტავდნენ უფლებებს. სხდომებზე დასწრებისას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბრალდებულთათვის ხშირად გაუგებარი იყო და არ ესმოდათ მოსამართლეების განმარტებები. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ბრალდებულის მხრიდან ნათლად არ იკვეთებოდა საპროცესო შეთანხმების დადების ნება, თუმცა, მოსამართლეს სხდომაზე ეს საკითხი არ გამოუკვლევია.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხილეთ:

მოსამართლემ დაამტკიცა პროკურორის მიერ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმება. ბრალდებული მთელი სხდომის განმავლობაში ორჭოფობდა და განაცხადა: „პროკურორის გამო იძულებული ვარ დავეთანხმო ამ შეთანხმებას... რაც არ ჩამიდენია, იმას არ ვეთანხმები... ვარგი, ვეთანხმები შუამდგომლობის დამტკიცებას“. ბრალდებულმა სხდომაზე არაერთხელ გამოხატა უკმაყოფილება და ხან აღიარებდა დანაშაულს, ხან - არა. მოსამართლემ შუამდგომლობა ყოველგვარი ეჭვის გამოხატვის გარეშე დაამტკიცა. სხდომის დასრულების შემდეგ ბრალდებულმა უთხრა პროკურორს: “ამ ქმედებისთვის პასუხს აგებთ.”

იშვიათი, საგამონაკლისო და მისასალმებელი იყო ის სხდომები, სადაც მოსამართლეები საფუძვლიანად შეისწავლიდნენ საპროცესო შეთანხმებაში ჩანერილი სასჯელის ზომას/ფორმას და პროცესზე ბრალდებულისგან იღებდნენ კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას, იყო თუ არა სასჯელზე თანახმა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხილეთ:

პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში (177-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი). საპროცესო შეთანხმების პირობები იყო შემდეგი: სსკ-ის 55-ე მუხლით განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე - 64-ე მუხლებით ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით და დამატებით სასჯელად დაენიშნა 2000 ლარიანი ჯარიმა.

მოსამართლემ პროკურორს მიმართა, რომ სასჯელი ზედმეტად მკაცრად ეჩვენებოდა, რადგან ეს იყო 4 წლის წინანდელი ფაქტი, ხოლო სადენების ღირებულება, რომლებიც ბრალდებულმა მოიპარა, შეადგენდა 210 ლარს. ამდენად, 1 წელი პირობითი და 2000 ლარი ჯარიმა ზედმეტად მკაცრ ზომას წარმოადგენდა. მოსამართლემ მითითება მისცა პროკურორს, რომ პირობები ზემდგომ პროკურორთან დაეზუსტებინა. სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, პროკურორი დაუკავშირდა ზემდგომ პროკურორს და დაზუსტებული პირობები წარმოადგინა, კერძოდ, შუამდგომლობიდან სრულად იყო ამოღებული 2000 ლარიანი ჯარიმა.

2.2. სასაპროცესო მიდგომები სასჯელის საპროცესო ნორმებისა და კანონიერების უზრუნველყოფის დაკავშირებით

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტია იმისათვის, რომ გააკონტროლოს საპროცესო შეთანხმების პირობების სამართლიანობა/

კანონიერება და, ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, შეთანხმება არ დაამტკიცოს.

მართალია, კანონმდებლობა მოსამართლეს არ უტოვებს უფლებას, სასჯელი ავტონომიურად შეამციროს ან შეცვალოს, მაგრამ ეს არ ამართლებს მოსამართლის მხრიდან პროკურატურის მიერ შეთავაზებულ გადამეტებულად მსუბუქ ან მძიმე სასჯელზე დათანხმებას იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ შუამდგომლობა ამგვარი პირობებით წარადგინა. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასჯელის შეფარდება. შესაბამისად, მოსამართლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და არ დაუშვას ბრალდებულისათვის შეუსაბამო სანქციის დაკისრება.⁵³

მონიტორინგის შედეგები

კანონით მინიჭებული ასეთი მნიშვნელოვანი უფლების მიუხედავად, ამ საანგარიშო პერიოდში მოსამართლეები უმეტესად არ დაინტერესებულან, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი. უფრო მეტიც, პროკურორის მიერ წარდგენილი 303 შუამდგომლობიდან მოსამართლემ 298 (98%) საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და აქედან მხოლოდ 7 (2%) შემთხვევაში პროცესზე აღნიშნა, რომ სამართლიანად მიაჩნდა ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულს შეეფარდა და რომ ეს ბრალდებულისთვის სასარგებლო გადამწყვეტილება იყო. 2 შემთხვევაში მოსამართლემ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სასჯელის კანონიერება: ერთ შემთხვევაში პროკურორს შეაცვლევინა პირობები, ხოლო მეორე შემთხვევაში პროკურორმა არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითება და სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

მიუხედავად უარყოფითი პრაქტიკის სიჭარბისა, დაფიქსირდა 5 შემთხვევა, როდესაც სასამართლო მოწოდების სიმალღვემე იყო, მიუთითა მხარეებს, რომ შემოთავაზებული საპროცესო შეთანხმება არ დამტკიცდებოდა არასწორი კვალიფიკაციის გამო ან/და ბრალდებულის არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო. საილუსტრაციოდ იხილეთ:

53 სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 63.

» პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენასა და ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებაში (სსკ-ის 177-ე მუხ. 2 და 273-ე მუხლი).


პროკურორმა სასამართლოზე წარადგინა საპროცესო შეთანხმება შემდგომი პირობებით: განესაზღვროს თ/ა 3 წლის ვადით, რაც ჩაეთვალოს პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით, რასაც სრულად მიემატოს წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი 1000 ლარი.

მოსამართლემ პროკურორს მიმართა: „ასეთი პირობით, რომელიც მხარეებს გსურთ, ვერ იქნება საპროცესო შეთანხმება დამტკიცებული. ტელევიზორის ლომბარდში ჩაბარება მოხდა 130 ლარად, საქმეში მისი ღირებულება შეფასებულია 550 ლარად, რასაც მნიშვნელოვან ზიანამდე მივყავართ და მეორე ნაწილით ხდება კვალიფიკაცია. ეს იმ დროს, როდესაც სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა არ არის წარმოდგენილი. მხოლოდ ჩვენებით მოხდა ფასის განსაზღვრა, მეორე მტკიცებულება ამისათვის არ არსებობდა. ამასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილება (2016 წლის 28 დეკემბრის) - ნივთის ღირებულების განსაზღვრისას საჭიროა ორი მტკიცებულება მაინც. ამასთან, საეჭვოა თვითონ ქურდობის კვალიფიკაცია, დაზარალებულმა ნებაყოფლობით გადასცა ბრალდებულს ქონება. სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდების კვალიფიკაცია არ არის სათანადო, ასევე, სასამართლოსთვის სრულად დამაჯერებელი არც ბრალდებულის პასუხებია და, შესაბამისად, საქმე დაუბრუნდეს პროკურორს.“

3. საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელი


სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმებების შედეგად ხშირია პირობითი მსჯავრის შეფარდების შემთხვევები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვადასხვა სახის სასჯელებთან ერთად გამოიყენება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შეფარდებული სასჯელების პროცენტულ მონაცემებს.




ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგრძნობად შემცირდა იმ ბრალდებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც საპროცესო შეთანხმების შედეგად ჯარიმა დაეკისრათ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ჯარიმების გამოყენების სიხშირეს მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აღნიშნულ საკითხებს აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით).



გაზრდილია საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო მაჩვენებელი და 4.533 ლარს შეადგენს. წინა საანგარიშო პერიოდში კი, ეს მონაცემები 3.283 ლარით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას 2012 წლის ივლისიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.




მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა 1000-დან 80.000 ლარამდე მერყეობდა, რაც წინა საანგარიშო წელთან შედარებით საგრძნობად გაზრდილია.⁵⁴

ასევე, საგრძნობად არის გაზრდილი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. თუ წინა საანგარიშო პერიოდში ამ სახის სასჯელის გამოყენება მხოლოდ 16% შემთხვევაში მოხდა, ამ საანგარიშო პერიოდში 22%-ით განისაზღვრა. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის პროცენტული მაჩვენებლის 6 ერთეულით ზრდა და ჯარიმის გამოყენების პროცენტული მაჩვენებლის 8 ერთეულით კლება მისასალმებელია.

54 წინა საანგარიშო წელს ჯარიმის ოდენობა მერყეობდა 500 ლარიდან 25 000 ლარამდე.


ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებებით ბრალდებულთა მიმართ სამოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აღნიშნულ საკითხებს აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით).



3.1. საპროცესო შეთანხმების შედეგად შეუარდავნი სასჯელი მოჯახური დანაშაულისთვის

როგორც სასამართლო პროცესებიდან გაირკვა, 19 დაზარალებულიდან მხოლოდ 3 მათგანთან ჰქონდა პროკურორს ეფექტური კომუნიკაცია, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ პროკურორმა წარმოადგინა დაზარალებულის პოზიცია სასამართლო სხდომაზე. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 19 ბრალდებულს, რომელსაც ბრალი ედებოდა ოჯახური დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ის მე-11¹ მუხლი), გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.


ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია დაკისრებული სასჯელის ფორმები ოჯახური დანაშაულის ჩადენის გამო, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



3.2. სასჯელები ნაჩოქიკული დანაშაულებისთვის


ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების ნახევარზე მეტს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა ჯარიმის გადახდის პირობით. სულ, ნარკოტიკული დანაშაულისთვის 91 ბრალდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. აქედან 51 მათგანს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე - 272-ე მუხლებით (ყველა ნარკოტიკული დანაშაული, გარდა მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმენა, შენახვა...) ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში, ხოლო დანარჩენ 40 ბრალდებულს სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით (ნარკოტიკული ნივთიერების მცირე ოდენობით შექმენა, შენახვა, მოხმარება...) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

ქვემოთ, იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია საპროცესო შეთანხმებისას ნარკოტიკული დანაშაულისთვის გამოყენებული სასჯელის სახეები (აღნიშნულ დიაგრამაზე ასახული არ არის სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის სახეები), 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებამდე სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო განხილული იყო 38 საქმე, ხოლო გადაწყვეტილების შემდგომ - მხოლოდ 2 საქმე.

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია გამოყენებული სასჯელის სახეები საპროცესო შეთანხმების შემდგომ, სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



3.3. საზოგადოებრივი დანაშაული

პროკურორმა სასამართლო სხდომაზე მხოლოდ 2 შემთხვევაში წარმოადგინა დაზარალებულის განცხადება, კერძოდ, პროკურორმა დაზარალებულს აცნობა, რომ ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება ბრალდებულთან (სსკ-ის 217 (1) მუხლი).

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას არეგულირებს სსკ-ის 276-ე მუხლი. აღნიშნული წარმოადგენს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს, რომელიც გამოწვეულია

მძღოლის დაუდევრობით/თვითიმედოვნებით. ამ საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 25 ბრალდებულთან, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სსკ-ის 276-ე მუხლით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში.

25 შემთხვევიდან 8-ს შედეგად მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ასეთ დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინფორმირება, რომ ბრალდებულთან ფორმდება საპროცესო შეთანხმება, ასევე - პროკურორის მხრიდან დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციის გათვალისწინება. თუმცა, საიას მონიტორინგმა აჩვენა, რომ ზემოხსენებულ არცერთ შემთხვევაში სხდომაზე დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია არ გახმოვანებულა.

აღსანიშნავია, რომ ერთ შემთხვევაში მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, ვინაიდან მიიჩნია, რომ პროკურორის მიერ შემოთავაზებული საპროცესო შეთანხმების სასჯელის ზომა აღემატებოდა ბრალდებულის ქმედებით გამოწვეულ ზიანს. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ინციდენტს ადგილი ჰქონდა თითქმის ერთი წლის წინ. ამ ხნის განმავლობაში კი ბრალდებული მართავდა ავტომობილს. მოსამართლის აზრით, მართვის მონშობის ჩამორთმევა იქნებოდა ზედმეტად მკაცრი და გაუმართლებელი სასჯელი.

გაუგებარია პროკურორის პოზიცია, ერთი წლის განმავლობაში რატომ არ დაასრულა საქმე, მაშინ როდესაც ყველა მტკიცებულება მოპოვებული იყო და ბრალდებულს აღიარებდა დანაშაულს. ამ ხნის განმავლობაში პირი მართავდა ავტომობილს და არსებობდა რისკი, რომ კვლავაც იქნებოდა მართვის დროს ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ. პროკურორის თავდაპირველი გულგრილი დამოკიდებულება და სასამართლოს გადანყვეტილება, რომლითაც არ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, შესაძლოა გამოიწვიოს ბრალდებულისთვის დაუსჯელობის განცდა.

ამის საილუსტრაციოდ იხილეთ:


პირს ბრალი ჰქონდა წარდგენილი სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენის გამო, კერძოდ - ტრანსპორტის მოძრაობის წესის დარღვევა, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში (სსკ-ის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ბრალდების მხარის პირობები ამგვარი იყო: თ/ა 2 წლის ვადით, რაც ჩაეთვლებოდა პირობით 2 წლის გამოსაცდელი ვადით, ასევე, 1 წლის ვადით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა. მოსამართლემ საფუძვლიანად გამოკითხა ბრალდებული და გაარკვია, რომ იგი მუშაობს მძღოლად კერძო კომპანიაში და სწორედ ამით ინახავს ოჯახს.

მოსამართლე პროკურორს: „ფაქტი მოხდა თითქმის ერთი წლის წინ, ბრალდებული ისევ მართავს ავტომობილს მისი სამსახურებრივი მოვალეობიდან გამომდინარე, ამ ხნის განმავლობაში ხომ არ გამოვლენილა რამე [კანონდარღვევა]?“ პროკურორმა მიუგო, რომ ასეთს ადგილი არ ჰქონია. მოსამართლემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი პირობები მიაჩნია ზედმეტად მკაცრად, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ნაწილში და, სსსკ-ის 213-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პროკურორს დაუბრუნა დასაზუსტებლად.

პროკურორმა პირობები არ შეცვალა. მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება მოცემული პირობებით და შემდეგი განმარტება გააკეთა: „წარდგენილი ბრალდების თანახმად, შემთხვევიდან თითქმის ერთი წელია გასული. ბრალდებული ამ ხნის განმავლობაში მართავდა ავტომობილს და არ გამოვლენილა რაიმე დარღვევა მისი მხრიდან. ამასთან, ავტომობილის მართვა პირდაპირ მის სამსახურებრივ მოვალეობას უკავშირდება. ბრალდების მხარემ ასე დაგვიანებით შემოიტანა საჩქმე. სასამართლოს მიაჩნია, რომ ზედმეტად მკაცრია დამატებითი სასჯელის გამოყენება და არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას წარმოდგენილი პირობებით.“

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია საპროცესო შეთანხმებისას სატრანსპორტო დანაშაულისთვის გამოყენებული სასჯელის სახეები, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



4. დაზარალებულის ინსტრუქციის გათვალისწინება სიხოცხის, ჯანმრთელობისა და საკუთარების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით

შესავალი

კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების ფაქტი. აღნიშნულის თაობაზე პროკურორი ადგენს ოქმს.⁵⁵ დაზარალებულს არ აქვს

55 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

შესაძლებლობა, რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საპროცესო შეთანხმების პროცედურაზე ან გაასაჩივროს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება, თუმცა, შეუძლია, სასამართლოს წერილობით ან ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა.⁵⁶ მართალია, დაზარალებულის უარი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის, თუმცა, პროკურორმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად უნდა ითანამშრომლოს დაზარალებულთან და მისი პოზიცია გაითვალისწინოს.

მონიტორინგის შედეგები

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში დაზარალებულის ინტერესები და სამართალწარმოებაში მისი ჩართულობა უგულებელყოფილი ან/და ფრაგმენტულია. აღნიშნული, საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, განპირობებულია პრაქტიკის ნაკლოვანებით და პროკურორთა და მოსამართლეთა მხრიდან არასაკმარისი მგრძობელობით. სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებებიდან 128 საქმე ეხებოდა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. თუმცა, ამ საქმეებიდან 112 (87%) შემთხვევაში ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციასა ან მის ინტერესებზე პროკურორს არ უსაუბრია, შესაბამისად, პროცესზეც არ განხილულა. მხოლოდ 16 (13%) შემთხვევაში წარმოადგინა ბრალდების მხარემ დაზარალებულთან კონსულტაციის ოქმი ან გააჟღერა მისი პოზიცია პირის დასჯასთან დაკავშირებით. აღნიშნული მონაცემი წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით განახევრებულია,⁵⁷ რაც მიუთითებს ტენდენციაზე, რომ დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება სასამართლო სხდომაზე არ ხდება.

შემთხვევები, რომლებმაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, მოითხოვს უფრო მგრძობიარე მიდგომებს პროკურორის და სასამართლოს მხრიდან. ასეთ დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესზე განხილული იყოს დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია. ასეთი შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში სასამართლო სხდომაზე არ ხდებოდა დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციის დაფიქსირება პროკურორის მხრიდან, რაც დაზარალებულის საუკეთესო ინტერესების გაუთვალისწინებლობაზე მიუთითებს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხილეთ:

56 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 217-ე მუხლის 1¹-ლი და მე-2 პუნქტები.

57 წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემთხვევათა 25%-ში სასამართლო სხდომაზე გამოკვეთულ იქნა დაზარალებულის პოზიცია, ან პროკურორმა წარმოადგინა დაზარალებულთან კონსულტაციის ოქმი.

პირს ბრალი ედებოდა სამშენებლო წესის დარღვევაში, რამაც გამოიწვია 4 ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა შემდეგი სახით: თავისუფლების აღკვეთა 2 წლით, 63-ე და 64-ე მუხლებით, პირობით იმავე გამოსაცდელი ვადით; დამატებით სასჯელად - სამშენებლო საქმიანობაზე უსაფრთხოების წესის ზედამხედველობის საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლისა და 6 თვის ვადით. აღნიშნულ შემთხვევაში პროკურორს სხდომაზე არ წარმოუდგენია დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია.

5. ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის პროცესში

შესავალი

საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს, კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნაა, ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, ვინაიდან მას არ ძალუძს, სათანადოდ დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს.⁵⁸ საპროცესო შეთანხმების შეთავაზების დანყების მომენტიდან ადვოკატის ძირითადი მოვალეობაა ბრალდებულისათვის კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის განწევა. მართალია, სასამართლო პროცესებზე ადვოკატი მოკლებულია შესაძლებლობას, ამტკიცოს პირის უდანაშაულობა ან ბრალდებულისათვის შეღავათიანი პირობების გამოყენება, თუმცა, ადვოკატის მხარდაჭერა გამოიხატება იურიდიული დახმარებისა და კვალიფიციური კონსულტაციის განწევაში. ადვოკატი ვალდებულია, დროულად და სრულყოფილად მოახდინოს ბრალდებულის ინფორმირება მისი უფლებების, მოსალოდნელი რისკების, სასჯელებისა და ჩასატარებელი სამართლებრივი პროცედურების შესახებ.

მონიტორინგის შედეგები

საგანგაშოა სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის არსებული კომუნიკაციის პრაქტიკა. სასამართლო სხდომებზე 72 (48%) შემთხვევაში გამოიკვეთა ადვოკატსა და დასაცავ პირს შორის კომუნიკაციის პრობლემა. ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე იყო დანიშნული 150 (52%) საქმეში. რაც შეეხება ბრალდებულის მიერ საკუთარი ხარჯებით დაქირავებულ ადვოკატს, ამ შემთხვევებში მინიმალურად გამოვლინდა კომუნიკაციის პრობლემა, კერძოდ, 147 საქმიდან 5 შემთხვევაში ბრალდებულსა და ადვოკატს შორის ვერ შედგა ეფექტური კომუნიკაცია.

58 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 45-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

სასამართლო პროცესებზე დასწრების შედეგად გამოვლინდა ერთეული შემთხვევები, სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული ადვოკატების მხრიდან არაეთიკური, ხარვეზიანი საქმიანობა და ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება, ასევე, შემთხვევები, რა დროსაც ადვოკატი პროკურორთან ერთად ახდენდა ბრალდებულზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რათა საპროცესო შეთანხმება დაედო.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ იხილეთ:

» დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც პროკურორი და ადვოკატი აძალებდნენ ბრალდებულს საპროცესო შეთანხმების დადებას.

პროცესზე გაირკვა, რომ ბრალდებულმა არ იცოდა ქართული სიტყვები, როგორებიცაა თარჯიმანი და დუმილი. შესაბამისად, მოსამართლემ დანიშნა თარჯიმანი და გამოაცხადა შესვენება. პროკურორი და ადვოკატი ერთად ესაუბრნენ ბრალდებულს და ახდენდნენ მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას, უვამდნენ შემდგომ კითხვებს: „იცი რას ნიშნავს სისხლის სამართლის დანაშაული? იცი რა არის დუმილის უფლება? პროკურორი და ადვოკატი თავს იმით იიმედებდნენ, რომ ამ კითხვებზე ამომწურავად ქართველებიც ვერ უპასუხობენ. პროკურორი: “გარეშე პირი გყავდა ხო, ვინც ნაგიკითხა საგამოძიებო მოქმედება, აი მაგალითად, შენ ხომ ჩვენება მიეცი ადვოკატთან ერთად და მოყვე რა მოხდა, ეს მერე ნაგიკითხეს ხო? და შენ რაც ნაგიკითხეს, ისე ეწერა ხო?” (პროკურორს ინფორმაცია ჰქონდა, რომ ბრალდებულმა წერა-კითხვა არ იცოდა). ბრალდებულს დასმულ კითხვებზე არ უპასუხია, რაზეც ადვოკატმა შედარებით მომთხოვნი ტონით მიმართა: “ილაპარაკე, რა იყო, გრცხვენია? ან - კი ან - არა უპასუხე, რომ დარწმუნდეს სასამართლო.”

პროკურორი და ადვოკატი შესვენების მიმდინარეობისას საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, რომ ბრალდებულს თარჯიმანზე უარი უნდა ეთქვა.

მოსამართლემ ბრალდებულის მოთხოვნის შემდგომ პროცესიდან თარჯიმანი გაითხოვა. სასამართლოზე საიას მონიტორს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ბრალდებულს არ ესმოდა დასმული კითხვები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, რომელშიც ბრალდებული მონაწილეობდა, ამ უკანასკნელს არ უსარგებლია დაკითხვისა და სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს სახელმწიფოს ხარჯზე თარჯიმნის მომსახურების უფლებით. აღნიშნული უფლებით სარგებლობა შეუძლია ბრალდებულს, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა ან აქვს ისეთი ფიზიკური ნაკლი, რომელიც თარჯიმნის გარეშე მასთან კომუნიკაციას გამორიცხავს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი). ვინაიდან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების დროს თარჯიმანი არ მოუწვევიათ, საკითხავია, როგორ გაიგო ბრალდებულმა განმარტებული უფლებები მაშინ, როდესაც მან სიტყვა დუმილის მნიშვნელობა არ იცოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ მიზანმიმართულად მოხდა თარჯიმნის ჩამოცილება პროცესიდან, რადგან იკვეთებოდა ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების კანონიერების პრობლემა.

» პირს ბრალი ედებოდა ხულიგნობის ჩადენაში (სსკ-ის 239 (2) მუხლი). პროცესის დაწყებამდე ბრალდებულმა პოზიცია შეიცვალა. მან პროკურორს განუცხადა, რომ ის მწყემსია, უმეტეს დროს ცხვარში ატარებს და ქალაქიდან საკმაოდ მოშორებით უწევს ყოფნა, რის გამოც ვერ შეძლებდა ერთი წლის განმავლობაში პრობაციის ბიუროში სისტემატურად გამოცხადებას.

სტაჟიორ-პროკურორი აღნიშნულ განცხადებაზე გაბრაზდა და ხელმძღვანელ პროკურორთან კომუნიკაციის შემდეგ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა ბრალდებულზე, რომ მასთან არ გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება.

ადვოკატი არაეთიკურად მოიქცა ბრალდებულის მისამართით. ბრალდებულმა პროცესის დაწყებამდე განაცხადა, რომ არ სურდა პირობითი მსჯავრის ქვეშ ყოფნა. ამან პროკურორის გარდა ასევე გაანაწყენა ადვოკატი, რომელმაც ბრალდებულს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ჩემი თავი რაღას დაანიშნინე?! ზემოთ შენ არ იყავი, ხელი რომ მოუწერე? რას ქვია, აღარ გინდა?“ ადვოკატმა ბრალდებულს ასევე ხმამაღალი ტონით მიმართა: “ნუ ყვირი რა, შენი არავის ეშინია”. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ადვოკატმა უხეშად დაარღვია ბრალდებულის უფლებები და მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედა.

X. წინასასამართლო სხდომაზე მსჯილვისათვის დასაშვებობა

1. კანონმდებლის მოქალაქეობის მიმოხილვა

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს, თუ საქმის განხილვა არსებითად გაგრძელდეს.⁵⁹ აღსანიშნავია, რომ დევნის შეწყვეტის საფუძველია არა მხოლოდ არასაკმარისი მტკიცებულებები, არამედ საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.


საიამ წინასასამართლო სხდომებზე გამოავლინა ტენდენციები, რომლებიც აჩვენებს სასამართლოს მიდგომებს პროკურატურისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობასთან დაკავშირებით.

2. სასამართლო სხდომის ანალიზი

წინასასამართლო სხდომებზე, მტკიცებულებების დასაშვებობის ნაწილში, მოსამართლეთა მხრიდან მიკერძოებული დამოკიდებულება და არაობიექტურობა, უმეტესად, არ დაფიქსირებულა. აგრეთვე, სასამართლოები, ძირითადად, თანაბრად აკმაყოფილებდნენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობებს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე.

⁵⁹ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის ალბათობის მაღალი ხარისხით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცენტულ მაჩვენებელს ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



ერთეულ შემთხვევაში მოსამართლეები დაცვის მხარის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ბრალდებულთა ინტერესების დაცვას ცდილობდნენ. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაიცვა ბრალდებულის უფლებები მაშინ, როდესაც ადვოკატი ბრალდებულის ნებისგან განსხვავებულად საუბრობდა. შემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ არ ხდოდა სადავოდ პროკურორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მოსამართლემ ჰკითხა ადვოკატს: „ბრალდებული არ ცნობს თავს დამნაშავედ და უდავოდ როგორ უხდით მტკიცებულებებს? ამიტომ თვითონ ბრალდებულს ვკითხვთ.“

ბრალდებულმა განაცხადა: „განზრახ არ ყოფილა“ (ბრალად შერაცხილი ქმედება იგულისხმა ბრალდებულმა). ბრალდებულის ზემოაღნიშნული განცხადების მოსმენის შემდეგ მოსამართლემ გამოაცხადა მიღებული გადაწყვეტილება:

„...ბრალდებულის პოზიციიდან გამომდინარე, ის ყველა მტკიცებულებას ხდის სადავოდ.“

საინტერესოა, რომ ამ საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც მოსამართლემ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

დაფიქსირდა ორი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს შეეძლო, საქმე არ გადაეცა არსებითად განსახილველად მცირე მნიშვნელობის ზიანის გამო. ასევე გაუგებარია ასეთ დროს პროკურატურის მიდგომა: როდესაც სახეზეა მცირე მნიშვნელობის ზიანი, დაზარალებულს არ აქვს რადიკალური პოზიცია, პირი არ ყოფილა ნასამართლევი და არ ჩაუდენია ძალადობრივი დანაშაული, რატომ არის აუცილებელი სისხლის სამართლის საქმის წარმოება, საქმის სასამართლოში წაღება, დროისა და რესურსის ხარჯვა.

საილუსტრაციოდ იხილეთ:

პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 19, 177 (1) მუხლით (ქურდობის მცდელობა) ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში. ბრალდებული მანამდე ნასამართლევი არასდროს ყოფილა. ზიანი, რომელიც შეიძლებოდა მისდგომოდა მაღაზიას, იყო 20 ლარი. ბრალდებულს პროცესზე ადვოკატი არ ჰყავდა.

პროკურორმა წარმოადგინა მტკიცებულებები და მოითხოვა საქმის არსებითად განსახილველად გადაცემა.

სასამართლოს არც კი უმსჯელია სსკ-ის 7 (2) მუხლზე, რაც გულისხმობს მცირე მნიშვნელობის ზიანის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას. დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და საქმე გადასცა არსებითად განსახილველად.

ბრალდების მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე:

ბრალდების მხარემ, სადაც ეს შესაძლებელი იყო,⁶⁰ 426 შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე. 426 წინასასამართლო სხდომიდან, სადაც განიხილებოდა მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, ადვოკატი ჰყავდა 283 (66%) ბრალდებულს.

დაცვის მხარის პოზიცია პროკურატურის შუამდგომლობებთან დაკავშირებით მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ:

- » 377 (89%) შემთხვევაში სრულად დაუჭირა მხარი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას;
- » 35 (8%) შემთხვევაში ნაწილობრივ დაეთანხმა ბრალდების მხარეს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე;
- » 14 (3%) შემთხვევაში სრულად არ დაუჭირა მხარი პროკურორის შუამდგომლობას.

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, დაცვის მხარის აქტიურობა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში⁶¹ საგრძნობად მომატებულია, კერძოდ, 3%-დან 12%-მდე. თუმცა, მაინც არასაკმარისია ადვოკატის აქტიურობა სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის უფლებების დაცვის მიზნით. აუცილებელია ადვოკატსა და ბრალდებულს შორის შეჭერებული პოზიციის არსებობა, ადვოკატის მხრიდან ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით.

დაცვის მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე:

დაცვის მხარემ მხოლოდ 88 (21%) შემთხვევაში წარმოადგინა მტკიცებულებები სასამართლოში და მოითხოვა მათი დასაშვებად ცნობა. აქედან, ბრალდების მხარე 68 შემთხვევაში (77%) სრულად დაეთანხმა დაცვას მტკიცებულებების დასაშვებობაზე, 12 (13%) შემთხვევაში - ნაწილობრივ დაუჭირა მხარი, ხოლო 8 (10%) შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მცირედით გაზრდილია დაცვის მხარის აქტიურობა მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნის ნაწილში.⁶²

60 444 წინასასამართლო სხდომიდან 14 სხდომა გადაიდო, 4 სხდომაზე პროკურორს არ წარმოდგენია მტკიცებულებები, ვინაიდან წინასასამართლო სხდომის მეორე პროცესი იყო.

61 წინა საანგარიშო პერიოდში შემთხვევათა 3%-ში დაცვის მხარემ იშუამდგომლა პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის შესახებ.

62 წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარემ შემთხვევათა 17%-ში დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ. ამჯერად ეს მაჩვენებელი 21%-მდეა გაზრდილი.

ამდენად, წინასასამართლო სხდომები, წინა საანგარიშო პერიოდების ანალოგიურად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. სასამართლოს მხრიდან, უმეტესად, არ გამოვლენილა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული ან არაობიექტური დამოკიდებულება.

ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ ერთ შემთხვევაში საქმე დაუბრუნა პროკურორს ბრალდებულის მიმართ განრიდების გაფორმების მიზნით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, სასამართლო უფლებამოსილია, განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდება შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების გაფორმების შესახებ.⁶³ აღნიშნული რეგულაცია ვრცელდება ასევე 18-დან 21-წლამდე ასაკის პირებზე.⁶⁴

აღნიშნული შემთხვევა წარმოადგენს პირის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

XI. გავლენები ადვოკატის რეგულაციის დასაბუთების და სასამართლო პრაქტიკის

1. კანონმდებლის მოქმედების შედეგად

ჩხრეკა და ამოღება წარმოადგენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაში მასშტაბურ ჩარევას, რომლის საფუძველზეც ხდება საქმისთვის მნიშვნელოვანი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა საშუალების მოძებნა, ამოღება და საქმეზე მისი გამოყენება. აღნიშნულის გამო, კანონმდებლობის მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება, ძირითად შემთხვევებში, ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვით. თუმცა, როდესაც არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რომ ჩხრეკის ან ამოღების დაწყების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შესაძლებელია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე, პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.⁶⁵ ამდენად, კანონმდებლის მოთხოვნაა, ჩხრეკა და ამოღება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით მხოლოდ გამოიწვიოს

63 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი.
64 საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, 2-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
65 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები.

შემთხვევებში ჩატარდეს და ძირითად წესად საგამოძიებო მოქმედებების დაწყებამდე სასამართლოს მხრიდან ნებართვის გაცემას განსაზღვრავს.

მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების ორგანოებმა ჩხრევის ან ამოღების განხორციელებამდე, ყველა შესაძლო შემთხვევაში, გამოიყენონ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ძირითადი წესი და მიმართონ სასამართლოს ნებართვის მისაღებად. მხოლოდ გამონაკლის, საგანგებო სიტუაციებში უნდა განახორციელონ ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედება სასამართლოს განჩინების გარეშე, როდესაც დაყოვნება საფრთხეს უქმნის ჩხრევის ან ამოღების შედეგებს.⁶⁶ ამასთან, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, თუ რატომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება. მხოლოდ ჰიპოთეტური მოსაზრებები, საქმესთან კავშირის არმქონე ვარაუდები არ არის საკმარისი, რომ მათზე დაყრდნობით გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება დასაბუთდეს.

ბრალდების მხარის გარდა, კანონმდებლობა სასამართლოსაც ავალდებულებს, აბსტრაქტული მითითებების ნაცვლად, შეამოწმოს, არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და ჰქონდათ თუ არა ბრალდების ორგანოებს უფლება, მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე დაეწყათ საგამოძიებო მოქმედებები. დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადანყვეტილებაზე,⁶⁷ მათ შორის, ჩხრევისა და ამოღების შესახებ მიღებულ განჩინებებზე.

2. სასამართლო სხდომათა ანალიზი

სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროკურატურა ამ საანგარიშო პერიოდშიც ძირითადი წესის უგულვებელყოფით ატარებს ჩხრევასა და ამოღებას და ძალიან ხშირად იყენებს საგამონაკლისო წესს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, უმნიშვნელოდ შემცირდა საგამონაკლისო წესით, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრევა-ამოღების და მათი კანონიერად ცნობის პროცენტული მაჩვენებელი. შესაბამისად, კანონმდებლობის ზემოხსენებული მოთხოვნები, გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრევისა და ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარებასთან დაკავშირებით, არ სრულდება.

426 წინასასამართლო სხდომიდან 245 შემთხვევაში წარმოადგინა პროკურორმა ჩხრევისა და ამოღების ოქმი და მოითხოვა საქმეში მტკიცებულებად დართვა. აქედან 90 შემთხვევაში უცნობია, თუ რა წესით


66 შვაბე, ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებები, თბილისი, 2011, 238.

67 ტრექსელი, შ. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში,“ თბილისი, 2009, 126.

მოხდა ჩხრევის და ამოღების ჩატარება.

თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობებიდან ან პროცესზე გაქვრებული გარემოებებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ ჩხრევისა და ამოღების 155 შემთხვევიდან მხოლოდ 13 (8%) ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 142 (92%) - გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლომ მტკიცებულებად არ დაუშვა და არ დააკმაყოფილა პროკურორის 2 (1%) შუამდგომლობა ამოღების შესახებ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრევისა და ამოღების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით გამოვლენილ სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომლებშიც საია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სიხშირეს აკვირდებოდა.



შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრევისა და ამოღების შემდგომ დაკანონებას ასახუთებდა თუ არა სასამართლო, ვინაიდან აღნიშნული, ძირითადად, არ განიხილებოდა ზეპირი მოსმენით. თუმცა, ის ფაქტი, რომ საგამოძიებო მოქმედებები 92%

შემთხვევაში საგამონაკლისო წესით ჩატარდა და მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან კანონიერად ცნონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

ამდენად, არსებობს ეჭვი, რომ პროკურატურის მხრიდან საგამონაკლისო წესის ხშირი გამოყენებითა და შემდგომში სასამართლოს მიერ თითქმის ყველა ასეთი შემთხვევის კანონიერად ცნობით, ბოროტად და არაკეთილსინდისიერად ხდება საკანონმდებლო შესაძლებლობის გამოყენება. კანონმდებლობით მკაცრად განერილი საგამონაკლისო წესი პრაქტიკაში ხშირი გამოყენების ნორმა გახდა, რაც ცალსახად არ შეესაბამება კანონმდებლის ნებას.

XII. საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები

1. სასამართლო სტრუქტურის გაერთიანების პრობლემა

1.1. კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სწრაფი მართლმსაჯულებისა და გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით თუ აქტით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს. იგი დაცულია როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით,⁶⁸ ასევე საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ⁶⁹ და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.⁷⁰ ასევე მნიშვნელოვანია მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება #5/06, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებმა უნდა „მიაქციონ ყურადღება [...] მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას და სასამართლო სისტემის სათანადოდ მართვას.“⁷¹ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობას ხაზს უსვამს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც.⁷²

სწრაფი მართლმსაჯულების საკითხი არაერთხელ გამხდარა ადამიანის

68 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 6(1).
69 საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14(3)(გ).
70 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 10.
71 მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 5/06, მინისტრთა საბჭოს მეთოთხმეტე შეხვედრა ბრიუსელში, (2006), პარ. 4.
72 ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 27 და 35.

უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი.⁷³ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით დადგინდა, რომ ადგილობრივი კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ცალკე სასამართლო პროცესის ჩატარების შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა ეფექტური დაცვის საშუალება პროცესის გაჭიანურების შემთხვევაში და ასეთი დაცვის საშუალების არარსებობა, თავისთავად, მე-13 მუხლის დარღვევას გამოიწვევდა.⁷⁴

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს აქვს სწრაფი მართლმსაჯულების უფლება, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ამასთან, პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისთვის. სასამართლო ვალდებულია, პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.⁷⁵ ამავე კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.⁷⁶

არის შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმეები წლების განმავლობაში მიმდინარეობს ისე, რომ კონკრეტული შედეგი არ დგება და მართლმსაჯულება სათანადოდ ვერ ხორციელდება. პროცესების არაგონივრული ვადით წარმოებით, ირღვევა როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადები, ასევე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები.

საიას სასამართლო მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა პროცესის დაგვიანებით დაწყების და განხილვის გადადების მრავალი შემთხვევა, რაც საქმის წარმოების წლობით გაგრძელებისა და გაჭიანურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორებია.

1.2. პროცესის ბაღაჯება

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა საქმის განხილვის გადადების უამრავი შემთხვევა, რომლებიც, როგორც წესი, სათანადოდ არ იყო დასაბუთებული, რამდენიმე შემთხვევაში კი, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ გადადება საქმის წარმოების გაჭიანურებას ემსახურებოდა. 982 არსებითი

73 ECHR, *Philis v. Greece* (no. 2) judgment of 27 June 1997, *Portington v. Greece* judgment of 23 September 1998, *PANEK v. POLAND*, Application no. 38663/97.


74 ECHR, *KUDŁA v. POLAND*, Application no. 30210/96.

75 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8 (2,3).

76 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 185(6).

განხილვის სხდომიდან, რომელსაც საიას მონიტორები დაესწრნენ, 463 (47%) შემთხვევაში პროცესი გახსნისთანავე გადაიღო ისე, რომ კანონით გათვალისწინებული არცერთი საპროცესო მოქმედება არ ჩატარებულა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სასამართლო სხდომების გადადების მიზეზები.



- ყველაზე ხშირად სასამართლო სხდომის გადადების მიზეზს წარმოადგენდა პროკურორის მონშმეტა არყოფნა - 39% (181 პროცესი). პროკურორები პროცესებზე ძირითადად აცხადებდნენ, რომ ვერ შეძლეს მონშმეტების წარმოდგენა, სხვა დამატებით მიზეზებზე მსჯელობას ადგილი არ ჰქონია. რიგ შემთხვევაში ამ საფუძვლით ზედიზედ რამდენიმე სხდომის გადადება ხდებოდა. საილუსტრაციოდ იხილეთ:

ერთ-ერთ საქმეზე საიას მონიტორი დაესწრო არსებითი განხილვის 5 სხდომას, საიდანაც 4 გადაიძღო: ერთ შემთხვევაში - ადვოკატის არყოფნის გამო, 3 სხდომა კი - იმ საფუძველზე, რომ პროკურორმა ვერ შეძლო მონმეების წარმოდგენა. 7 თვის განმავლობაში სხდომა გახსნისთანავე იდებოდა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარ მონმეთა გამოცხადება.⁷⁷ ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მონმე უარს აცხადებს გამოცხადებაზე, კანონმდებლობა მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააყენოს შუამდგომლობა მონმის გამოძახების თაობაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მონმეს უკვე სასამართლო გამოიძახებს, გამოუცხადებლობის შემთხვევაში კი, შესაძლებელია მისი იძულებით მიყვანა.⁷⁸

შესაბამისად, თუ პროკურორი ვერ ახერხებს თავისი მონმეების სასამართლოში წარმოდგენას, მან უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ბერკეტი, რათა ეს არ გახდეს პროცესის გაჭიანურების საფუძველი. ამასთან, უცნობი რჩება წინასწარ გონივრული ვადით ადრე დაიბარა პროკურორმა მონმეები თუ არა და ხომ არ იყო მხარის მიერ მონმეთა წარმოდგენასთან დაკავშირებით გულგრილი დამოკიდებულება.

- საპროცესო შეთანხმების დადების მოტივით გადაიძღო სხდომების 23% (106 სხდომა). არაერთმა საქმემ ცხადყო, რომ პროცესის გადადება ხშირ შემთხვევაში ხდება საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების და არა სხვა რამე მიზეზით. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც რეალური ინტერესია საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე, თუმცა, მხარეები არასათანადო გულმოდგინებით ეპყრობიან აღნიშნულ საკითხს და არ ცდილობენ, რომ მოლაპარაკების პროცესი სწრაფად და გაჭიანურების გარეშე აწარმოონ. საილუსტრაციოდ იხილეთ:

ერთ-ერთ საქმეზე, 3 თვის განმავლობაში არსებითად განსახილველი სხდომა გადაიძღო 5-ჯერ, აქედან ერთხელ - ადვოკატის არყოფნის გამო, ერთხელ - პროკურორის მონმეთა არყოფნის გამო, ხოლო 3-ჯერ - საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების მიზეზით. ამ 3 თვეში ვერ მოხერხდა საპროცესო შეთანხმებაზე დაცვის მხარის და პროკურორის პოზიციების შეჯერება, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუშალა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას.

77 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 228 (1).

78 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 149.

- ადვოკატის (9%) ან პროკურორის (9%) გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო სხდომების 18%, საერთო ჯამში - 83 სხდომა. იყო შემთხვევები, როდესაც პროცესის მხარეები არ აფრთხილებდნენ სასამართლოს და ისე აცდენდნენ სხდომებს, რაც ერთმნიშვნელოვნად ხელს უშლის სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას. საილუსტრაციოდ იხილეთ შემთხვევა, როდესაც ადვოკატი აცდენს სხდომებს და ამის შესახებ არ აფრთხილებს სასამართლოს:

პროცესზე ზედიზედ მეორედ არ გამოცხადდა ბრალდებულის ადვოკატი. ბრალდებულის ინფორმაციით, რამდენიმე დღით ადრე ადვოკატმა უთხრა, რომ ზღვაზე მიდიოდა დასასვენებლად და პროცესზე გამოცხადებას ვერ მოახერხებდა, თუმცა, ამის შესახებ ცნობით შეატყობინებდა სასამართლოს. მოსამართლემ განაცხადა, რომ სასამართლოს ადვოკატისგან არც ცნობა და არც ზეპირი შეტყობინება არ მიუღია გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით. პროკურორმა მოითხოვა ადვოკატის დაჯარიმება და სხდომის გაგრძელება. სასამართლომ სხდომა ისე გადადო, რომ ადვოკატი არ დააჯარიმა.

სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-8 ნაწილის⁷⁹ შესაბამისად, მოსამართლე უფლებამოსილი იყო, დაეჯარიმებინა ადვოკატი 100-500 ლარით. გაუგებარია, რატომ არ ისარგებლა მან აღნიშნული უფლებით.

- ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო სხდომების 7% (33 სხდომა). 3 პროცესის გადადების მიზეზი იყო ის, რომ პენიტენციარულმა დეპარტამენტმა ვერ მოახერხა ბრალდებულის გადმოყვანა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან რესურსების არარსებობის გამო. პენიტენციარულ დეპარტამენტს აქვს ვალდებულება, ბრალდებული წარადგინოს სასამართლო სხდომაზე. წარუდგენლობის არგუმენტად ვერ გამოდგება არასაკმარისი რესურსი.

1.2.1. სსსკ-ის დაგვიანებით დაწყება


საიას სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ 982 სასამართლო სხდომიდან 306 (31%) დაიწყო დაგვიანებით. 37 სასამართლო სხდომის დაწყება საათზე მეტი დროით დაგვიანდა.

აღსანიშნავია, რომ პროცესის დაგვიანებით დაწყება, როგორც წესი, არ

⁷⁹ სასამართლოში პროცესის მონაწილის არასაკმარის მიზეზით გამოუცხადებლობისას მას სხდომის თავმჯდომარე განკარგულებით აკისრებს ჯარიმას 100 ლარიდან 500 ლარამდე ოდენობით, რაც პროცესის მონაწილეს არ ათავისუფლებს გამოცხადების ვალდებულებისგან. ჯარიმის ოდენობა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შესაბამებოდეს პირის ფინანსურ მდგომარეობას.

ხდება მსჯელობის საგანი არც მხარეების და არც მოსამართლის მხრიდან, არ ვეთდება შესაბამისი განმარტებები და, საერთოდ, ნაკლები მნიშვნელობის საკითხად აღიქმება. რეალურად, პროცესის საათზე მეტი ხნით დაგვიანებით გახსნა არაერთ პრობლემას იწვევს და, საბოლოოდ, პროცესის გაჭიანურებას უწყობს ხელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სხდომების დაგვიანებით დაწყების მიზეზები.



საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სხდომების დაგვიანებით დაწყება და პროცესების გადადება აფერხებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და წარმოადგენს საქმისწარმოების გაჭიანურების მნიშვნელოვან საფუძველს.

2. მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაში ჩაჩვევა

2.1. შესავალი

მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით,⁸⁰ ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.⁸¹ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე, რაც გულისხმობს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. სასამართლოს დამოუკიდებლად ეკრძალება მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა.⁸² მოსამართლეს, მათ შორის, ეკრძალება მოწმის დაკითხვა. მოსამართლეს მოწმეთათვის კითხვის დასმის უფლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ენიჭება, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად და როდესაც სახეზეა მხარეთა თანხმობა. აღნიშნული გამართლებულია იმ საფუძველით, რომ მოსამართლე შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს, რაც წინააღმდეგობაში მოდის მოწმისთვის კითხვის დასმასთან, რადგან კითხვა შეიძლება რომელიმე მხარის ინტერესებს ემსახურებოდეს.

2.2. სასამართლო სსრმების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში პროცესის დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოსამართლეები ძირითადად არ სარგებლობენ კითხვის დასმის უფლებით, თუმცა, იყო ცალკეული შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ კითხვები მხარეთა ნებართვის გარეშე დაუსვა მოწმეებს ან სხვაგვარად ჩაერიო მხარის კომპეტენციებში.

მოწმეები დაიკითხნენ 339 პროცესზე, აქედან 67 (20%) შემთხვევაში მოსამართლემ დასვა კითხვები. 42 (63%) შემთხვევაში მოსამართლემ არ აიღო მხარეებისგან ნებართვა კითხვის დასმის დროს. საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, სადაც მოსამართლე, მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად, სვამს კითხვას:

დაცვის მხარემ პროტესტი გამოთქვა და აღნიშნა, რომ თანახმა არ არის, მოსამართლემ კითხვა დაუსვას მოწმეს. პროკურორმა განაცხადა, რომ ის თანახმაა. მოსამართლემ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ისე, რომ არც გაითვალისწინა დაცვის პოზიცია, კითხვა დაუსვა მოწმეს.

80 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(გ).

81 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 9.

82 სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 25 (2).

67 შემთხვევიდან 14 კითხვა (21%) მოსამართლეების მხრიდან იყო არათუ დამაბუსტებელი, არამედ სრულად ახალი შინაარსის და, ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა მონმის ხელახალ დაკითხვას. საილუსტრაციოდ იხილეთ:

- » მოსამართლემ მონმეს ჰკითხა: “ოთახიდან ოთახში კარით გადიხარ? თუ სხვა გასასვლელიც არის?” ასევე, მოსამართლემ მონმეს ჰკითხა, ხომ არ იყო ნასამართლევი ან/და პირობითი მსჯავრის ქვეშ.
- » ექსპერტის დაკითხვისას, მოსამართლემ, მხარეთა ნებართვის გარეშე, შუა დაკითხვისას ჰკითხა მონმეს, შეიძლებოდა თუ არა, რომ ქვით მიყენებული დაზიანება დამჩნეოდა დაზარალებულს.

გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სასამართლო მონმის დაკითხვისას მხარეს მიმართავდა ფამილარულად და ირონიულად (მაგალითად, შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ადვოკატს ირონიულად მიმართა მონმის დაკითხვის დროს: „რას მოგცემთ ეს კითხვა? დროს წელავთ? ხომ ხედავთ, პასუხს არ გცემთ“.)

დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაცვის მხარის ადვოკატს მიაყენა შეურაცხყოფა. საილუსტრაციოდ იხილეთ:

მოსამართლემ ადვოკატს მიმართა - „თქვენთვის წარმოდგენილი შვებულების ცნობის თანახმად და გაჟღერებული პოზიციების შესაბამისად, მომდევნო სხდომას დაენიშნავ 1 კვირის ვადაში. იმედს გამოვთქვამ, რომ ასე ოროსანი ბავშვივით აღარ ადგებით და არ განაცხადებთ, რომ მოუმზადებელი ხართ მოსული.“

პროცესებზე შეინიშნება მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის დარღვევის გარკვეული შემთხვევები, რომლებიც გამოიხატება კითხვის დასმის უფლებით არამართლზომიერად სარგებლობასა ან მხარის კომპეტენციაში სხვაგვარად ჩარევაში.

3. ბნაღჯულის მიმართ ვიზუალურად დაეამყინაბელი ღონისძიების გამოყენება

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ერთ-ერთ სახეს პატიმარი ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამყინებელი ფორმის გამოყენება წარმოადგენს. ასეთი ტიპის უსაფრთხოების ზომების დაწესება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებულები იყვნენ საშიში დამნაშავეები, რომელთაგანაც საჭირო იყო საზოგადოების დაცვა, რაც ზიანს აყენებდა

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.⁸³ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია OSCE/ODIHR-ის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულში, უნდა მოეპყრონ უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „ბრალდებულები, ჩვეულებრივ, არ უნდა შებოჭონ ბორკილებით და არ უნდა ჩასვან საკანში სასამართლო პროცესების მსვლელობისას ან წარმოადგინონ სასამართლოს წინაშე, როგორც საშიში დამნაშავეები.“⁸⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში ასევე ეხება სასამართლო პროცესზე ბრალდებულისადმი მოპყრობის იმგვარ საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა საზიანოდ იმოქმედოს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და გამოიწვიოს პირის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ პროცესზე რკინის საკნების გამოყენებამ ბრალდებულთა მოსათავსებლად „შესაძლოა, აფიქრებინოს ჩვეულებრივ მაყურებელს, რომ იგი არის უკიდურესად საშიში დამნაშავე.“⁸⁵ სხვა საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი ზომის დანესება ვერასოდეს იქნება გამართლებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-3 მუხლით,⁸⁶ რადგან ეს წარმოადგენს ღირსების შემლახველ მოპყრობას.⁸⁷

საანგარიშო პერიოდში პატიმარ ბრალდებულებთან მიმართებით დაფიქსირდა ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, არსებითად საქმის განხილვის სხდომებიდან სულ 350 შემთხვევაში იყო პროცესზე პატიმარი ბრალდებულის წარმოდგენილი, აქედან 140 შემთხვევაში (40%) პატიმარი გალიაში იყო განთავსებული.

მართალია, მთელ რიგ შემთხვევაში ბრალდებულის მიმართ ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენება შესაძლოა უკავშირდებოდეს უსაფრთხოების დაცვას, თუმცა, პროცესზე ნაკლებად რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის რისკები, რომლებიც შეიძლება ამგვარი ღონისძიების გამოყენების

83 OSCE/ODIHR, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში საქართველო, 3.108.

84 ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, მენ. 113, პარ. 30.

85 ფირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ, ECtHR, 26 ივნისი 2012, პარ 73.

86 იქვე. პარ. 74, ასევე, სვინარენკო და სლიადნევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, 17 ივლისი 2014, პარ. 137-138. იხ. აგრეთვე, რამიშვილი და კობხეიძე საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 27 იანვარი 2009, პარ. 100-101, სადაც სასამართლომ გააკრიტიკა საბრალდებო სკამების გისოსებით შემოზღუდვა და „სპეციალური დაცვის“ ყოფნა საჭარო განხილვაზე დასაბუთების გარეშე; ასევე, ადამიანის უფლებების კომიტეტის No. 1405/2005 გადაწყვეტილება, მიხაილ პუსტოლოვიტი უკრაინის წინააღმდეგ, იხ. პარ. 9.2, 9.3 და 10, სადაც აღნიშნულია, რომ რკინის საკნის გამოყენება არღვევდა მე-7 და მე-14 (30 ბ) მუხლებს, ICCPR -ის მე-14 (1) მუხლთან ერთად.

87 OSCE/ODIHR, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 3.99.

საფუძველი გახდეს, იყო ინდივიდუალურ დონეზე გაზომილი და შეფასებული. კერძოდ, ბრალდებულების ქცევა არ იყო სასამართლოსთვის შეუფერებელი ან აგრესიული, ასევე, არ ჩანდა ნასამართლობის კომპონენტი ან სხვა გარემოება, რომელიც პოტენციური საფრთხის მაჩვენებელი იქნებოდა. საილუსტრაციოდ იხილეთ:


ბრალდებული სხდომის მსვლელობის დროს გალიაში იყო მოთავსებული. ამგვარი ღონისძიების გამოყენების მიზეზი უცნობია. ბრალდებული არ იყო აგრესიული. დარბაზში მხოლოდ მისი დედა, მეუღლე და რამდენიმე ნათესავი იმყოფებოდა. დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეში არ არის დაზარალებული (ბრალდებული დაკავებული იყო ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ბრალდებით, სსკ-ის 236-ე მუხლი).

აღნიშნული ბადებს ეჭვს, რომ მსგავსი ღონისძიებების გამოყენება ხდება ყოველგვარი ინდივიდუალური გარემოებების შეფასებისა და საფრთხის სათანადოდ გაზომვის გარეშე. ასეთი ღონისძიება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს ბრალდებულის მხრიდან გაქცევის მცდელობის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების ჩადენის აშკარა და რეალური საფრთხე.

4. ბანაჩენი

სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში საიას მონიტორები დაესწრნენ 982 არსებითი განხილვის სხდომას. 191 (20%) პროცესზე დადგა განაჩენი: 178 (93%) - გამამტყუნებელი, 3 (2%) - ნაწილობრივ გამამართლებელი, 10 (5%) - გამამართლებელი. წინა საანგარიშო პერიოდში გამამართლებელი განაჩენი საერთოდ არ დაფიქსირებულა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამამტყუნებელი განაჩენებისას გამოყენებული სასჯელის სახეები.



საიას მონიტორები დაესწრნენ ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ (სსკ-ის 260-ე მუხლი) 10 პროცესს, სადაც მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება: 8 შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და ყველა შემთხვევაში ვაღიანი თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2 შემთხვევაში - გამამართლებელი განაჩენი. რაც შეეხება სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, დადგა 9 განაჩენი და ცხრავე მსჯავრდებულს სასჯელის სახედ შეეფარდა ჯარიმა.

5. ანსაბით სლოზაზა გამოკღენიღი ტენღენსიეაბი ოჯახში კაღღოზის, ოჯახური ღანაშაუღისა ღა ქაღთა ბიბაიღი კაღღოზის საქმეაზგა

5.1. მონიტორინგის შაღეაბი ღისკრიბინასიღი მოტივის გამოკღევისთან ღაკაუშირეაბით

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისთვის გენღერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოკველევა და შეფასება მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მონიტორინგმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში იკვეთებოდა ნიშნები, რომელთა საფუძველზეც უნდა გამოკველეულიყო, იყო თუ არა დანაშაულის ჩაღენა მოტივირებული გენღერული უთანასწორობით, ქალის გენღერულ როლზე არსებული შეხედულებითა და სტერეოტიპული დამოკიდებულებით. ასეთ ფაქტებზე ყურადღება არ გაუმახვილებია პროკურატურას და, შესაბამისად - არც სასამართლო ორგანოებს. მხოლოდ

ორ შემთხვევაში ისაუბრა პროკურორმა შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივზე.

გემოსხნებულ ნიშნებზე მიუთითებს ის საქმეები, რომელთა მონიტორინგიც საიამ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში განახორციელა. იყო შემთხვევები, როდესაც ბრალდებული განმარტავდა, რომ დაზარალებულს (ყოფილ მეუღლეს) მიაყენა შეურაცხყოფა, ვინაიდან განქორწინების შემდეგ შეუფერებლად იქცეოდა. მამამ ქალიშვილს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა იმიტომ, რომ სოციალურ ქსელში განათავსა ფოტო, რომელიც, მისი თქმით, გოგონას არ შეეფერებოდა. იყო შემთხვევა, როდესაც გამოიკვეთა ბრალდებულის მესაკუთრული დამოკიდებულება ყოფილი მეუღლის მიმართ. ბრალდებულმა სცემა ყოფილ მეუღლეს იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მესამედ განაცხადა უარი შერიგებაზე. ასეთ შემთხვევებში პირდაპირ იკვეთება სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოტივის მიმანიშნებელი გარემოებები, თუმცა, ბრალდების მხარე ამ კუთხით არ მსჯელობს.

ერთ-ერთ პროცესზე, სადაც დაზარალებული იყო ტრანსგენდერი ქალი, ბრალდებულის ადვოკატმა გამოავლინა არაეთიკური და დისკრიმინაციული მიდგომა დაზარალებულის მიმართ:

„ქალბატონია თუ, უკაცრავად, კაცი, რომელიც ქალიც არის, არ ვიცი, ტრანსგენდერი ჰქვია ხო ამას, არ მინდა შემეშალოს, ტერმინებში არ ავირიო, მეც არ დამბრალდეს რამე.“ „...კაცია და ქალის კაბა აცვია.“

მართალია, ამ საქმეზე პროკურორმა მიუთითა ბრალდებულის მხრიდან გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე, თუმცა, ადვოკატის მხრიდან ასეთი რეაქცია კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას მონყვლადი ჯგუფების მიმართ და ზრდის სტერეოტიპებს.

5.2. სასამართლო მიერ გამოყენებული სასჯელი ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე უმეტესად გამამტყუნებელი განაჩენები დგება. სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულს, მაგრამ მოსამართლის საქმიანობა არ არის ბოლომდე ეფექტიანი, ვინაიდან უმეტესად შეუსაბამოდ რბილი სასჯელის დაკისრებით შემოიფარგლება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას მონიტორები დაესწრნენ ოჯახში ძალადობის, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულის არსებითი განხილვის 73 სხდომას. 69 შემთხვევაში მოსამართლემ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

შემთხვევათა 95%-ში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, თუმცა, პრობლემურია სასჯელის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის საკითხი. 69 საქმიდან 35 (51%) შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახედ შეუფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა დაუწესდა 14 (20%) პირს, ხოლო ვადიანი თავისუფლების აღკვეთა - რეალური სასჯელი - დაეკისრა 17 (25%) ბრალდებულს. 17 შემთხვევის ანალიზიდან ირკვევა, რომ, ძირითადად, რეალური სასჯელის გამოყენება მოხდა ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებით, როდესაც ძალადობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, მანამდე გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი ან/და პირი რამდენჯერმე იყო მიცემული სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში.

იყო მრავალი შემთხვევა, განსაკუთრებით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, როდესაც მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეძლებდა სავარაუდო ძალადობის გაგრძელების საფრთხის განეიტრალებას, თუმცა, მოსამართლემ ასე არ მიიჩნია. საილუსტრაციოდ იხილეთ:

» ბრალდებულს პროკურატურა ედავებოდა ოჯახური დანაშაულის ჩადენას (სსკ-ის 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი). ბრალდებულმა ხელი დაარტყა სახის არეში მის ყოფილ მეუღლეს, რის შედეგადაც ის ნაიქცა. ბრალდებული რამდენჯერმე არის წარსულში სასამართლვევი, მათ შორის ოჯახში ძალადობისთვის. მის მიმართ გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი. დაზარალებული და ბრალდებული შერიგებულები არ არიან, დაზარალებულს აქვს პრეტენზია ბრალდებულის მიმართ. სასამართლომ სასჯელის სახედ განსაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

» ბრალდებულმა ყოფილ მეუღლეს მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. იმავე დღეს ბრალდებული დაბრუნდა ყოფილი მეუღლის სახლში, რა დროსაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ყოფილი მეუღლის დედას (სსკ-ის 126¹ მუხლის ორი ეპიზოდი). სასამართლომ სასჯელის სახედ განსაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.


აღსანიშნავია, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგა 4 შემთხვევაში. ერთადერთი მიზეზი კი იყო ის, რომ ბრალდების მხარის მონმემ - კონკრეტულ საქმეში დაზარალებულმა პირმა - უარი განაცხადა ქმრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე. ასეთ შემთხვევებში, აუცილებელია, პროკურატურამ და სამართალდამცავმა სტრუქტურებმა იმუშაონ ეფექტურად, მოიძიონ სხვა მონმეები, სხვა მტკიცებულებები და არ იყვნენ დამოკიდებულნი მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებაზე.

ამ საანგარიშო პერიოდში რამდენიმე საქმეში მოსამართლემ კვლავ არ გამოიყენა რეალური სასჯელი და ერთ-ერთ საფუძვლად მიუთითა დაცვის

მხარის მიერ მტკიცებულებების ცნობა. შესაბამისად, მტკიცებულებების უდავოდ ცნობის ფაქტი სასჯელის დაკისრების დროს ერთ-ერთ შემამსუბუქებელ გარემოებად რჩება სასამართლოების მიერ. ოჯახური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულმა 47-მა პირმა (76%) აღიარა ჩადენილი დანაშაული და პროკურორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები უდავოდ მიიჩნია.

აღსანიშნავია, რომ 73 საქმიდან, რომელზეც დადგა განაჩენი, 45 მათგანი გამოიტანა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლო ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ძირითადად ატარებს არსებითი განხილვის მხოლოდ ერთ სხდომას და იმავე სხდომაზე გამოაქვს გადაწყვეტილება. სხვა ქალაქებში კი ასეთი პრაქტიკა არ არის დამკვიდრებული. სწორედ ამ მიზეზით საიას მონიტორები სხვა ქალაქებში დაესწრნენ მცირე რაოდენობით ოჯახური დანაშაულის საქმეების იმ სხდომებს, სადაც განაჩენი გამოცხადდა: გორის რაიონულ სასამართლოში - 15; თბილისში - 7; თელავში - 5; ბათუმში - 1.

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია დაკისრებული სასჯელის ფორმები ოჯახური დანაშაულის ჩადენის გამო ქალაქების მიხედვით, 2017 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლის ჩათვლით.



ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არცერთ შემთხვევაში არ გამოიყენა სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ეს ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლო ოჯახური დანაშაულის დროს არსებულ საფრთხევებს სერიოზულად არ აღიქვამს, რითაც რისკის ქვეშ დგება დაზარალებულის უსაფრთხოების საკითხი. გორის და თელავის რაიონული სასამართლოები, აგრეთვე, თბილისის საქალაქო სასამართლო, ძირითადად, ნათლად აფასებს ბრალდებულისგან მომდინარე საფრთხეს და, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსგან განსხვავებით, უფრო ადეკვატურ სასჯელებს იყენებს.

რეკომენდაციები

სასამართლო სხდომების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა კონკრეტული პრობლემები, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის წინაშე დგას. პრობლემები არის კომპლექსური და ეხება როგორც სასამართლოს, ისე ბრალდების და დაცვის მხარეებს. ამასთან, ხარვეზებია სისხლის სამართლის კანონმდებლობაშიც, რომელთა გამოსწორებაზე საკანონმდებლო ორგანომ უნდა იზრუნოს. ბოლო დაკვირვების და ყველა წინა საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საერთო სასამართლოებს:

- სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევებში ან საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურორი ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. ასევე, სასამართლოებმა უნდა მოითხოვონ პროკურატურისგან აღკვეთის ღონისძიების შეამდგომლობის უფრო მეტი დასაბუთება და ბრალდების მხარეს უნდა დააკისრონ მტკიცების ტვირთი;
- პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიანიჭონ უფლების შემღუდვის შედარებით მსუბუქ ფორმას;
- ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულების მიმართ ძალადობის საქმეებზე მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს გენდერული ხედვით. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი ტიპის დანაშაულების სპეციფიკა, ადეკვატურად შეაფასოს საფრთხეები და გამოიყენოს შესაბამისი სიმძიმის აღკვეთის ღონისძიება. როგორც წესი, ოჯახური დანაშაული ხასიათდება განმეორებითობით;
- ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში, თუ პირველი წარდგენის სხდომაზე არსებობს იმის ნიშნები, რომ შესაძლოა დანაშაული ჩადენილი იყო დისკრიმინაციული ნიშნით, მოსამართლემ აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს აღკვეთის ღონისძიების განსაზღვრისას;
- სასამართლომ მხოლოდ საფუძვლიანი შემონმების შემდეგ უნდა დააკანონოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა

და ამოღების შუამდგომლობები;

- მოსამართლეებმა ყველა შემთხვევაში ჯეროვნად უნდა განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები საპროცესო შეთანხმების სხდომებზე, ყველა შემთხვევაში სრულყოფილად განუმარტონ ბრალდებულს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და გამოიკვლიონ, რამდენად სამართლიანი და კანონიერი მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი, რათა არ არსებობდეს ეჭვები სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით;
- პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლომ სიღრმისეულად უნდა გამოიკვლიოს მიერ მხარის დაგვიანებისა თუ გამოუცხადებლობის საფუძვლები და არასაპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;
- მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ ყველა შემთხვევაში დაიცვას ნეიტრალურობის პრინციპი და სხვადასხვა ფორმით არ მოახდინოს მხარეთა ფუნქციებში შეჭრა ან უფლებამოსილების გადამეტება. ამასთან, მოწმის მიმართ კითხვის დასმის უფლებით სარგებლობისას, ზედმიწევნით დაიცვას კანონის მოთხოვნები;
- აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა სრულყოფილად და გასაგებად განუმარტონ ბრალდებულებს მათი ყველა უფლება, განსაკუთრებით საპროცესო შეთანხმების სხდომაზე;

2. საქართველოს პროკურატურას:

- პროკურორებმა უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. იმავდროულად, უნდა განმარტონ, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება შესაბამის მიზნებს;
- პროკურორებმა უნდა დაასაბუთონ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა და შეისწავლონ ბრალდებულის ქონებრივი და მატერიალური შესაძლებლობები;
- პროკურატურამ ყველა შემთხვევაში უნდა დაინყოს გამოძიება, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება სავარაუდო წამების/არაჰუმანური მოპყრობის შესახებ;
- გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ ჩხრევა და ამოღება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით;
- ოჯახური დანაშაულის შემთხვევებში პროკურატურამ მაქსიმალურად

სწრაფად უნდა იმოქმედოს, სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მომენტიდან უმოკლეს ვადაში გამოიძიოს საქმე და მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შესახებ შუამდგომლობით;

- ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურამ ყველა შესაძლო საშუალებით უნდა გამოიკვლიოს, ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერის ნიშნით ან სხვა შეუწყნარებლობის მოტივით, თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი, სასამართლო სხდომაზე უნდა ისაუბროს დანაშაულის დისკრიმინაციულ მოტივზე.

3. საქართველოს პარლამენტს:

- სსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ძირითადი აღკვეთის ღონისძიების სახეები არასაკმარისია. აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილში და ძირითადი აღკვეთის ღონისძიებების სახეების რაოდენობის გაზრდა. აღნიშნული მოსამართლეებს გაუზრდის შესაძლებლობას, უფრო მეტად გამოიყენონ სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებები, გირაოს და პატიმრობის გარდა;
- საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, რომლის მიზანიც იქნება მოსამართლის როლის გაზრდა სავარაუდო წამების/არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, მოსთხოვოს გამოძიების ორგანოს ყოველი არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება, რომელიც შესასრულებლად იქნება სავალდებულო;
- უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო სტრუქტურა, რომელსაც ექნება სავარაუდო წამების თუ არაჰუმანური მოპყრობის საქმეებზე გამოძიებისა და დევნის განხორციელების უფლებამოსილება. იმავდროულად, კანონმდებლობით უნდა გაიწეროს მოსამართლის უფლებამოსილება, წერილობითი ფორმით მიმართოს საგამოძიებო ორგანოს, როდესაც პროცესის მონაწილეებისგან გაიგებს, რომ დაექვემდებარნენ წამებას ან არაჰუმანურ მოპყრობას;
- კანონმდებლობით უნდა მონესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე ყოველთვის შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს;
- კანონმდებლობით უნდა მონესრიგდეს სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულის თავი და, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა დაწესდეს ადეკვატური სასჯელები.

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას:

- აუცილებელია, რომ ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად და დამატებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას. ამისათვის კი, ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს მათი პერმანენტული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სფეროში (მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის წესებთან მიმართებით და ა.შ.);
- ადვოკატებმა უნდა გამოიჩინონ მაღალი ეთიკური ქცევა პროცესის მონაწილეების, განსაკუთრებით, მონყვლადი ჯგუფების მიმართ. მათი საქმიანობა არ უნდა იყოს სტერეოტიპული და სტიგმის შემცველი.